# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 სექტემბერი 2005 №202 (2525) ფასი 50 თეთრი


# საქართველომ უკრაინა ორი საათით დააჯარიმა
## ბლოხინს გერმანია გზაში დააწიეს



...გოგა გახოკიძემ 89-ე წუთზე საჯარიმოდან ლაზათიანად ჩაახუჭუჭა ბურთი უკრაინელთა კარში და, ასე ვიტყოდით, საქართველომ ოლეგ ბლოხინის გუნდთან ნამუსი მოიწმინდა — არ იყო წასაგები მატჩი, არც ის იყო, უკრაინაში რომ წავაგეთ და ამ ორ თამაშში ქულას, დიახაც, რომ იმსახურებდა საქართველოს ნაკრები.

ვინძლო, სწორედ გახოკიძის გოლმა გაიყვანოს ქართველები ჯგუფში მეხუთე ადგილზე, თორემ მეტი, აბა, რაღა დარჩენილა. უკრაინა კი თბილისში აპირებდა მუნდიალზე ოფიციალურად გასვლას, მაგრამ ზეიმი ორი საათით გადაედო — თვითმფრინავიდან დაინახა გერმანია-2006.

# ქართველებს ხელწერა შეუმოწმეს
## ჯერ მხოლოდ ქაღალდზე...




ქახა
ზალამბერიძე
კოპენჰაგენიდან


საქართველოს უფროს-უმცროსი ნაკრებები თბილისიდან კოპენჰაგენს გუშინ საღამოს ექვსის ნახევარზე გაემგზავრნენ და ზუსტად ოთხსაათიანი ფრენის შემდეგ დანიის დედაქალაქში დაეშვნენ. აეროპორტში ქართველ ფეხბურთელებს ერთი ჟურნალისტიც კი არ დახვედრია, იყო ხუთი თუ ექვსი ფოტოებით შეიარაღებული ავტოგრაფთა კოლექციონერი ფანი და მორჩა, მეტი არავინ. საინტერესო იყო, რომ ავტოგრაფები დიდი ენთუზიაზმით შეაგროვა მებაჟე გოგონამაც, რომელმაც ყველანი საკმაოდ იოლად გაგვატარა.

აეროპორტიდან როგორც ეროვნული, ასევე ახალგაზრდული ნაკრები 25 კილომეტრით მოშორებულ გარეუბანში წაიყვანეს, სადაც კომპლექს „ფარუმპარკში" დააბინავეს. უნდა ითქვას, რომ ამ დღეებში კოპენჰაგენი ევროპის მობილური ოპერატორების კონგრესს მასპინძლობს და ქალაქის სასტუმროებში ადგილი სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავ.

„ფარუმ პარკს" რამდენიმე სპორტული მოედანი აქვს და ის სტადიონიც, სადაც ახალგაზრდულებმა უნდა ითამაშონ, აქვეა. დაბინავდა თუ არა, ორივე ნაკრებმა მოედანს მიაშურა, სადაც გაწვრთნისთვის ვარჯიში ჩაატარა.





## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

# გოგას გუგუნი

## გახოკიძემ უკრაინას გერმანია თვითმფრინავიდან დაანახა

თბილისი. 3 სექტემბერი. 20.15 საათი. ეროვნული. უმაყურებლოდ (ტევადობა 70 900)

### საქართველო 1:1 უკრაინა

0:1 როტანი (44), 1:1 გახოკიძე (89)

**საქართველო:** ლომაია, მენთეშაშვილი (გოგუა 77), ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი (მუჯირი 77), ოდიკაძე, კანკავა, ცქიტიშვილი, გახოკიძე, ასათიანი (აშვეთია 87), დემეტრაძე
*სათადარიგონი:* სტურუა; სალუქვაძე, განუგრავა, ჩხეტიანი
**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**უკრაინა:** შოვკოვსკი, იეზერსკი, ფიოდოროვი, რუსოლი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, გუსინი, შიშჩენკო (რებროვი 68), როტანი, ვორონინი (ნაზარენკო 75), შევჩენკო
*სათადარიგონი:* სტარცევი; შელაევი, გამშუკი, ბელიკი, ვენგლინსკი
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი

**გაფრთხილება:** იეზერსკი (41), კანკავა (55)

**მსაჯები:** ტ. ოვრებო; გ. ჰოლენი, ა. სუნდეტი; ბ. სანდმოენი (ნორვეგია)

**უეფას დელეგატი:** ჟ. ფილიპსი (ბელგია)



**ილია ნანობაშვილი**

ცნობილი ქართული კინოფილმისა არ იყოს, მე შენთან ანგარიში გასწორებული მაქვსო, ასე შეუთვალა გაიოზ დარსაძის ნაკრებმა უკრაინელებს — მუნდიალზე ოფიციალურად გასვლას აქ არ გაზეიმებთ, სხვაგან მოაწყეთ დღესასწაულიო. უკრაინელებმა თამაშიდან ორი საათის შემდეგ, თბილის-კიევის ავიარეისის თვითმფრინავიდან დაინახეს გერმანია 2006 — თურქეთ—დანიის ფრემ გაუნაღდათ საგზური.

არადა, 89-ე წუთამდე ყველაფერი „ლოგიკის გზით" მიდიოდა, მაგრამ გოგა გახოკიძემ 23-25 მეტრიდან ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შესრულა საჯარიმო და გველირსა... 15-წლიან ისტორიაში საქართველოს ნაკრებმა ბოლო წუთებზე პირველად გადაარჩინა ქულა!

გაიოზ დარსაძემ 4-5-1 სისტემით დააწყო გუნდი. დაცვაში მარჯვნივ-მარცხნივ მენთეშაშვილი და კობიაშვილი გაამწესა, ცენტრი კი ხიზანიშვილსა და კალაძეს ჩააბარა. ნახევარდაცვის საყრდენობა კანკავა-ცქიტიშვილს დაევალათ, ფლანგებიდან კი ოდიკაძე და გახოკიძე უტევდნენ. „შუბის წვერად" დემეტრაძე იყო, ხოლო ასათიანი თავის „სანაკრებო ადგილზე" — გამთამაშებლად ვიხილეთ.

მოშიშვლებულ ტრიბუნებს თამაშზე მაინცდამაინც დიდი გავლენა არ მოუხდენია. მატჩი მატჩად ვარგოდა, ტემპსაც არა უშავდა. პირველი ჩხვლეტა ქართველებისა იყო, როცა ლევან კობიაშვილმა საჯარიმოდან ტექნიკურად დააბზრიალა ბურთი და შოვკოვსკიმ ძლივს მოიგერია კუთხურზე.

აი, სადღაც მე-10 წუთიდან უკრაინელები ცენტრში გაბატონდნენ, ტიმოშჩუკ-გუსინის წყვილი კანკავა-ცქიტიშვილისას აშკარად სჯაბნიდა და შვიდწუთიან მონაკვეთში სტუმრებმა ოთხჯერ დაბომბეს ლომაია. სწორედ ამ მონაკვეთში ითარეშა შევჩენკომ, თორემ „მილანის" სუპერვარსკვლავი დარჩენილ დროში თვალს ვერ მოგწყვეტდა — რაღაცნაირად დამძიმებული თამაშობდა და მარტო ხიზანიშვილიც იოლად გაუმკლავდა მის „ბეი-ბეგის".

თუმცაღა ტაიმის ბოლოს სწორედ ხიზანიშვილ-შევჩენკოს ნაბრძოლევს, ბურთი იღბლიანად მიუვიდა რუსლან როტანს და მანაც შორეულ ცხრიანში ჩააჭედა — 0:1. უკვე მერამდენედ, საქართველოს ნაკრებმა ზედ შესვენებაზე გასვლის წინ გაუშვა გოლი.

არადა, ამ წუთებში ქართველები უფრო მძლავრობდნენ, უკრაინელები დამფრთხლები ჩანდნენ და წვრილ-წვრილ ჯარიმებსაც მიმართავდნენ, ხოლო ნაკრების ძირითადში პირველად მოხვედრილი ოდიკაძე რამდენჯერმე თევზივით დაუსხლტა ნესმაჩნის, მაგრამ გაგრძელებას ველარ პოულობდა — ძალიან უეფექტო ჩაწოდებებს აკეთებდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უკრაინამ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მინდვრის ცენტრი დათმო. ასათიანიც ათამაშდა და „ყვითლები" ძლივსღა ახერხებდნენ მისთვის ბურთის წართმევას, ხოლო ერთხელ მალხაზმა შოვკოვსკის გაბითურებაც სცადა — თავზე უგდებდა ბურთს, მაგრამ ოდნავ ვერ მოზომა.

მალე გახოკიძის სუპერპასმა მთელი უკრაინის დაცვა დააბორიალა და დემეტრაძეს აუცილებლად უნდა გაეტანა, მაგრამ შოვკოვსკიმ ათი ხელი გამოიბა. იქამდე კი კალაძემ აგვიფორიაქა გული — ვორონინი ელვასავით გაექცა და კიდევ კარგი, დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა...

მე-80 წუთზე კი ნაზარენკომ კონტრშეტევისას როტანი მონახა და 0:2-ს არაფერი აკლდა, თუმც უკრაინელმა ძელს მოარტყა ბურთი. ამ დროს გაიოზ დარსაძე, როგორც თავად ნამატჩევს თქვა, ვა-ბანკზე იყო წასული: ორივე განაპირა მცველი მოხსნა, თუმც ოდიკაძე ნახევარდაცვიდან უკან ჩამოწია, კალაძე მარცხნივ გადაწია, ცქიტიშვილი კი ხიზანიშვილს შეუწყვილა დაცვაში.

გოგუასა და მუჯირს ცეცხლი არ დაუნთიათ მინდორზე, აი, მიხეილ აშვეთიას გამოსვლა კი სხვა იყო და ვფიქრობთ, დარსაძემ დააგვიანა ეს ცვლილება. სწორედ მიხომ აიკიდა ის ჯარიმა, გახოკიძემ რომ აქცია შედევრგოლად — გოგას დარტყმულს ცხრა შოვკოვსკიც ვერ აიღებდა.

და ერთი ყურადსაღებიც: დარსაძის ხელში ნაკრებმა სამივე გოლი სტანდარტულებიდან გაიტანა. მთლიანობაში, ყაზახეთთან მატჩის მერე პროგრესი ჩანდა, უპირველესად კი დაცვაში — ძალიან კარგად მუშაობდნენ ჩვენები დაზღვევაზე, რაც უკრაინელთა სწრაფი ფორვარდების ფონზე ნაღდად სასიხარულოა. ეგაა, მეტოქის კართან ცოტა უცხოდ ვგრძნობთ თავს... ისევ არ ჩანს დაცვიდან შეტევაზე (ან პირიქით) სწრაფად გადასვლა.

1:1 — ცხრილს ჩახედავთ და ადვილად გამოითვლით, რომ დიდი შანსია, სწორედ ამ კინკილა ქულამ გაიყვანოს საქართველო მეხუთე ადგილზე. რას იზამ, ესაც სანატრელი გვქონდა. ეს ჩვენ, თორემ უკრაინამ მუნდიალი ღრუბლებიდან დაინახა...



ანდრეი შევჩენკო ქართული ესკორტით



გოგა გოხოკიძის აუღებელი ალექსანდრ შოვკოვსკის კარში


გაიოზ დარსაძე

ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

## პრესკონფერენცია

*ოლეგ ბლოხინი:* შედეგი ლოგიკურია. ეგაა, ძელს მოვარტყით ბურთი და მერე საბერძნეთთან მატჩის მსგავსად საჯარიმოდან გავუშვით გოლი. საქართველოს თითქმის იგივე შემადგენლობა ჰყავს, რაც შესარჩევი ციკლის დასაწყისში ჰყავდა.

ქართველები უცხოეთის სახელიან გუნდებში თამაშობენ და, წესით, პირველ-მეორე ადგილებისთვის უნდა იბრძოდნენ. ვერ გეტყვით, რატომ ვერ ახერხებენ ამას. ფაქტია, საქართველოს ნაკრები კარგ ფეხბურთს თამაშობს.

...სათითაოდ ვერც ჩემს ფეხბურთელებს გამოვყოფ და ვერც ქართველებისას. მატჩს გუნდი იგებს ან აგებს. მთლიანობაში, თამაშით კმაყოფილი ვარ.

...და კიდევ, გაფრთხილებთ — არსად წავიკითხო, თითქოს უკრაინამ საქართველოსთან თამაში იყიდა! იმიტომ გეუბნებით, რომ ასეთი სტატია უკვე შემხვდა.

*გაიოზ დარსაძე:* ჩვენი მთავარი საზრუნავი ახალი გუნდის ფორმირებაა, შედეგს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ფეხბურთელებს ბევრი მოძრაობა დავავალე და მიხარია, რომ მეორე ტაიმში ეს დავინახე.

...ბლოხინის მსგავსად, არც მე გამოვყოფ ფეხბურთელებს. თუმცა ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ ძელი ახსენა, ის კი დაავიწყდა, რომ ჩვენც გვქონდა მომენტები.

...ნაკრებმა ჩემ მოსვლამდე სამ თამაშში 13 გოლი გაუშვა, მუშაობა სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრისკენ წავიყვანე და როგორც ხედავთ, პროგრესი სახეზეა. პრაგმატული თამაში ყველა გუნდს უნდა შეეძლოს.

...ოპტიმალური შემადგენლობის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. რაც შეეხება ორივე განაპირა მცველის შეცვლას, ეს ვა-ბანკი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას სწრაფი კონტრშეტევები შეუძლია, ვაგებდით და რისკი აუცილებელი იყო.


ოლეგ ბლოხინი

ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

## მურავნიძემ ხელი არ მოაწერა...
### მესამე ტაიმი, სახელად — ყურყუტი

მე-რა-მდე-ნედ?! უკრაინა — საქართველოს მატჩის დამთავრებიდან პრესკონფერენციის დაწყებამდე ჟურნალისტებს ლამის მესამე ტაიმის ყურებამ მოგვიწია. ოღონდ ეს ის „მესამე ტაიმი“ არ გეგონოთ, ჩვენში პურ-მარილის გაშლას რომ უწოდებენ — არა, ბატონო, კერძო დაცვის სამსახურის კარის შესასვლელთან გვაყურყუტა.

ჩვენ ეგეთებს მიჩვეულები ვართ, უკრაინელი მასმედიელების გაოცებული თვალები უნდა გენახათ — რა ხდება, შტურმით უნდა ავიღოთ შენობაო? დაცვის სამსახური უფროსის ბრძანებას ელოდა, მაგრამ რა ბრძანებაა საჭირო, განა არ იციან, რომ პრესკონფერენცია ჟურნალისტებისთვის იმართება?!

როგორც იქნა... ოლეგ ბლოხინმა გვიშველა, მხოლოდ მისი შესვლის შემდეგ მიხვდნენ, რომ მასმედიაც უნდა შეეშვათ... მაგრამ რა, ხომ გაგიგონიათ — „წერე და იკითხე“... მგონი, ჩვენც ისე გამოგვდის.

**ლუკა თალაკვაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# თბილისი — სტამბოლი
## ბოლო წუთის მისტიციზმი

**თურქეთი 2:2 დანია**

0:1 კ.იენსენი (41), 1:1 ოკან ბურუქი (48), 2:1 თუმერი (81), 2:2 ლარსენი (90)

**თურქეთი:** ვოლქანი, ჰამიტ ალტინტოპი, იბრაჰიმი, ალფაი, უმით ოზათი, სელჩუკი, ჰასან შაში (ოკან ბურუქი 46), თუმერი (თოლგა 85), ბაშთურქი (ჰუსეინი 46), ჰაკან შუქური

**მწვრთნელი:** ერსუნ იანალი

**დანია:** სორენსენი, პოულსენი, პრისკე (გრავგაარდი 46), აგერი, ნ.იენსენი (ლარსენი 85), ჰელვეგი, გრავესენი, კ. იენსენი, ტომასონი, იორგენსენი (გრონკიაერი 79), რომედალი

**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი

გოგა გახოკიძის უმაგრესი ჯარიმის შემდეგ თურქებს ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლის შანსი გაუჩნდათ და ასე ეგონათ კიდეც დანიასთან მატჩის 92-ე წუთამდე — სორენ ლარსენმა მსაჯის მიერ წამატებულ მეორე წუთზე შეაბზრიალა გამთანაბრებელი ვოლქან არსლანის კარში — რომ არა ლარსენის გოლი, უკრაინას ჯერ არ ექნებოდა განაღდებული მუნდიალზე საგზური.

პირველი გოლიც დანიელებმა შეაგდეს — კლაუს იენსენის ძლიერი დარტყმის შემდეგ ვოლქანმა ბურთს ხელი კი წაატანა, თუმცა ამაოდ. დანიელებმა აქტიურად დაიწყეს მატჩი, დაცვითი ტაქტიკა არ აურჩევიათ და ლოგიკურადაც დაწინაურდნენ.

შესვენებაზე ერსუნ იანალმა ორი შეცვლა გააკეთა და მატჩის სიუჟეტიც შეიცვალა. ერთ რამედ ღირდა ოკან ბურუქის გოლი — მან ისეთი მოჭრილ-ჩახვეული დაარტყა, დევიდ ბექემსაც პირს დაალებინებდა.

მასპინძელთაგან ჰამიტ ალტინტოპი იყო თამაშის წარმმართველი, მან ორივე საგოლე კომბინაციაში დაიდო წილი. მეორე გოლი თურქებმა ალტინტოპის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმით გაიტანეს — თუმერ მეთინმა თურქეთი დააწინაურა.

ლარსენმა კი მატჩის მიწურულს მართლაც რომ ღრიჭო მოძებნა ლამის ერთმანეთს შეწებებულ თურქ მცველებში და... მეორე ადგილისთვის ბრძოლაც ძალიან დაიძაბა.


დანიელებმა ბოლო წუთზე გატანილით გერმანია 2006-ის შანსი შეინარჩუნეს

*ერსუნ იანალი:* სამწუხაროდ, ბოლო ორი წუთი ვეღარ გავძელით და ახლა იძულებულნი ვართ, უკრაინასაც მოვუგოთ და ალბანეთსაც. საერთო ჯამში ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, მხოლოდ მატჩის მიწურულს გაშვებული ბურთი მამწუხრებს.

*მორტენ ოლსენი:* ორივე გუნდს ჰქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ როცა თურქებმა მეორე გოლი გაიტანეს, ჩვენ მხოლოდ ფრისთვის მოგვიწია ბრძოლამ.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ალბანეთს იოტი გადაურჩა
## ყაზახეთი კვლავაც სამეულშია

**ალბანეთი 2:1 ყაზახეთი**

1:0 მირტაი (54), 2:0 ბოგდანი (56), 2:1 ნიზოვცევი (64)

**ალბანეთი:** ლიკა, ბექირი, ჩანა, ჰასი, მურატი, ჰახი (აგოლი 46), ლალა, ჯუპი, შკელა, მირტაი (კაპლანი 90), ბოგდანი (ბუში 85)

**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ბრიგელი

**ყაზახეთი:** ლორია, სმაკოვი, კუჩმა, ირისმეტოვი, ტრავინი, ხოხლოვი, ლარინი, ბაიჟანოვი (ნიზოვცევი 55), ჟუმასკალიევი (კარპოვიჩი 61), კენჟეხანოვი

**მწვრთნელი:** სერგეი ტიმოფეევი

**გაფრთხილება:** ჯუპი, ირისმეტოვი, ლალა

მიმდინარე შესარჩევ ციკლში ალბანეთმა ზედიზედ მეორედ მოიგო შინ და მუნდიალზე მოხვედრის იოტისხელა შანსს კვლავაც ინარჩუნებს.

პირველ ტაიმში ალბანელებმა ყაზახები მოედნის გამყოფ ხაზს არ გადმოაცილეს, ბევრჯერ დაემუქრნენ მეტოქეს, ორჯერ ძელსაც გაარტყეს ბურთი, მაგრამ გოლს ვერ გამორჩნენ.

ნავსი მეორე ტაიმში გატყდა — ერვინ ბოგდანი ორ ყაზახ მცველს გასცდა, შემდეგ ფლორიან მირტაის გადასცა ბურთი და მანაც თანაგუნდელს გარჯა გოლით დაუფასა. სამი წუთის შემდეგ ბოგდანი კვლავ გამოირჩა — დავით ლორიას აუღებელი მაღალი ბურთი უთავაზა — „ვერონას“ შემტევი ბოგდანი მატჩის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ.

მაგრამ ყაზახებმა თითქოს ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ჯერ ერთი გოლი გაქვითეს, მერე კი გათანაბრება მოინდომეს, მაგრამ მაქსიმ ნიზოვცევმა მეორე ცდაზე გოლი ვეღარ გამოაცხო.

ამგვარად, ყაზახეთი სამეულში დარჩა — მის გარდა ლუქსემბურგი და სან მარინო არიან, ამ შესარჩევ ეტაპზე ჯერ ქულაც რომ ვერ მოუნაგრიათ.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ალბანელებს ტრავმირებული კაპიტანი იგლი ტარე აკლდათ.

**ნიკა ჯორჯაძე**


ყაზახები ერვინ ბოგდანმა გააწამა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 10 | 7 | 3 | 0 | 16:4 | 24 |
| თურქეთი | 10 | 4 | 5 | 1 | 21:9 | 17 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| დანია | 9 | 3 | 4 | 2 | 15:10 | 13 |
| ალბანეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 9:17 | 12 |
| საქართველო | 9 | 2 | 3 | 4 | 13:18 | 9 |
| ყაზახეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 4:25 | 0 |

### დარჩენილი მატჩების კალენდარი

7 სექტემბერი:
ყაზახეთი — საბერძნეთი
უკრაინა — თურქეთი
დანია — საქართველო

8 ოქტომბერი:
საქართველო — ყაზახეთი
უკრაინა — ალბანეთი
დანია — საბერძნეთი

12 ოქტომბერი:
საბერძნეთი — საქართველო
ალბანეთი — თურქეთი
ყაზახეთი — დანია

# ქორი თუ ძაღლის თავი?

## ალანიელი ქართველების დაქვეითება დემეტრაძეს დაუკავშირეს

ვლადიკავკაზის „ალანიადან" ექვსი ქართველის უცერემონიოდ დათხოვნამ და დუბლშემადგენლობაში „ჩამოლაბორანტებამ" ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. ბევრ ოს ჟურნალისტსაც ვერ გაუგია, რას ერჩოდნენ მაინცდამაინც ქართველებს — ისინი ნორმალურად თამაშობდნენ და უცებ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 9 საათით ადრე გამოუცხადეს ასეთი ამბავი.

გაზეთ „მე-15 რეგიონის" ვარაუდით, რომელიმე ჩვენიანს ისევ დააბრუნებენ ძირითად გუნდში — სავარაუდოდ, ვიტალი დარასელიას, რომელიც, მათივე თქმით, „ალანიას" ლიდერი იყო პირველ წრეში.

...თუმცა ამავე წერილის გაგრძელება წაიკითხეთ: „ვლადიკავკაზელმა გულშემატკივრებმა „ალანიას" მწვრთნელ იცხაკ შუმის გადაწყვეტილება მოიწონეს. ფანები თვლიან, რომ ბევრმა ფეხბურთელმა ბოლო მატჩებში შეგნებულად ითამაშა ცუდად."

რატომ? ამაზე უკვე მეორე გაზეთი, „ოსეთი — თავისუფალი ხედვა" წერს: „ალანიელთა რამდენიმე მოთამაშე გიორგი დემეტრაძის პირადმა კონტრაქტმა გაალიზიანა. ისინი თვლიან, რომ „დემეს" ძალიან ბევრ ფულს უხდიან. ეს ფეხბურთელები სპეციალურად არ თამაშობენ მთელი ძალით, ვნახოთ, ჩვენ დაუხმარებლად გიორგი რისი გამკეთებელიაო."

როგორც აქედან ჩანს, „ალანიას" ფანები ქართველებზე გაბრაზებულები არიან. კლუბის პრეზიდენტი სერგეი ტაკოევი კი ამბობს, საკადრო რევოლუცია გუნდში ფსიქოლოგიურ კლიმატს გააუმჯობესებსო.

ვნახოთ, რა ბედი ეწევათ დავით კვირკველიას, ვიტალი დარასელიას, ლადო ბურდულს, ლევან გვაზავას, ჯაბა კანკავასა და გიორგი შაშიაშვილს...

**ილია ნანოგაშვილი**



გიორგი დემეტრაძე

### დავით ყიფიანის თასი

**მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები**

მერანი 1:2 *ბორჯომი* (0:2)
საგარეჯო 1:1 (0:3პენ) *სოხუმი* (1:1)
გარდაბანი 2:3 *სპარტაკი* (1:3)
რუსთავი 1:0 *თბილისი* (1:3)
მაღაროელი 0:2 *კოლხეთი* (0:6)
*გაგრა* 3:3 ცხინვალი (4:4)

დღეს გაიმართება:
გურია — ბათუმი (0:3)
ლიახვი — სიონი (1:6)
ჩიხურა — კახეთი (3:0)

გადაიდო:
ზუგდიდი — ზესტაფონი (0:3)
მესხეთი — დილა (3:3)
მეშაძრე — ამერი (2:1)



ლადო ბურდული



იცხაკ შუმი

# რა იქნება ხვალ? ვლადიკავკაზში ეს დღეს არ იციან

## დინამო ბურდულის და კვირკველიას დაბრუნებას აპირებს

**გუშინ** ვლადიკავკაზში ლადო ბურდულს დავუკავშირდით და პირველი ის ვკითხეთ, რას აპირებს, ამ ეტაპზე „ალანიადან" სხვა გუნდში გადასვლის რა პერსპექტივა აქვს...

— არის იმაზე ლაპარაკი, რომ თბილისის „დინამოში" დავბრუნდე. უკვე ვესაუბრე „დინამოს" მმართველ დირექტორ გიორგი ტყავაძეს, მაგრამ ჯერ ყველაფერი კიდევ წინაა — რაღაც-რაღაცები გასარკვევი და შესათანხმებელია.

**— „ალანიას" ხელმძღვანელობასაც ესაუბრე „დინამოში" შესაძლო დაბრუნებაზე?**

— ჯერ არა, ბესლანის ტრაგედიის წლისთავთან დაკავშირებით ვლადიკავკაზში ოთხდღიანი გლოვა იყო გამოცხადებული და „ალანიას" პრეზიდენტთან საუბრის საშუალებაც არ იყო.

**— „დინამოს" „ალანიადან" მხოლოდ შენი დაბრუნება უნდა?**

— რამდენადაც ვიცი, ჩემი და დავით კვირკველიასი.

**— მიგაჩნია, რომ „დინამოში" დაბრუნება ამ ვითარებაში შენთვის საუკეთესო ვარიანტია?**

— „დინამოში" თამაში მართლაც მომენატრა, თანაც „ალანიაში" რა როგორ იქნება, ძნელი სათქმელია. ისიც შეიძლება, რომ პირველი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დუბლებში თამაშის ნებაც არ დაგვრთოს. ასეთ შემთხვევაში „დინამო" მართლაც საუკეთესო ვარიანტი იქნება.

**— მაინც რა მოხდა, რატომ მოსთხოვა „ალანიას" თავკაცმა იცხაკ შუმმა კლუბის პრეზიდენტს ექვსი ქართველის ტრანსფერზე დაყენება?**

— მითხრეს, შუმს ულაპარაკია, რომ სავარჯიშო პროცესში ქართველები ხელს მიშლიანო. რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი ხდებოდა, ჩემს თამაშზე კი შუმი ნაღდად ვერაფერს იტყოდა, რადგან ყველა ხედავს, რომ კარგ ფორმაში ვარ და ძირითადშიც ვთამაშობდი. ჩვენ ტრანსფერზე დაყენებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ვლადიკავკაზში ბევრი გულშემატკივარი გვყავს და ისინი მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი არიან. იცხაკ შუმს კარგი პრესაც არ აქვს. ახლახან კლუბმა ოთხი ისეთი ფეხბურთელი შეიძინა, საქმეში ჯერ რომ არ უნახავთ...

**— თქვენი ტრანსფერზე დაყენების თაობაზე „ალანიას" პოზიცია იმდენად ცალსახა და მკაცრია, რომ სულ არ არის იმის შანსი, რამე შეიცვალოს?**

— აქ ახლა ისეთი სიტუაციაა, ხვალ რა იქნება, ვერავინ გეტყვის. მოკლედ, ყველაფერია მოსალოდნელი, იმასაც გააჩნია, როგორ ჩაატარებს უახლოეს მატჩებს „ალანია"...

**დავით თავართქილაძე**

## თვალ თვალი



*უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ალექსეი მიხაილიჩენკო და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ოთარ გაბელია — მათ ეროვნულ სტადიონზე სულ სხვა რამ-რუმეებზე ილაპარაკეს, თუ რა იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მშვენება კიევის „დინამო" და თბილისის „დინამო". მიხაილიჩენკომ კი ჟურნალისტებს ისიც გვითხრა, მახსოვს, ამ ლეგენდარულ სტადიონზე თქვენს ლეგენდარულ „დინამოს" და გაბელიას გოლი როგორ გავუტანეო.*

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ჰაჯის სახელობის სამი ქულა

## ბერეზოვსკის ერევანში ბევრი ურტყეს



რუმინეთი — ჩეხეთი 2:0. რუმინეთის ნაკრები ადრიან მუტუს გოლს ზეიმობს

I ჯგუფი

**რუმინეთი 2:0 ჩეხეთი**

1:0, 2:0 მუტუ (27, 56)

**რუმინეთი:** ლობონტი, კივუ, კონტრა, რატი, ტამაში, კოშიში, მუნტიანუ (კოდრეა 70), ფ. პეტრე (ბადოი 52), ო. პეტრე, მაცილუ, მუტუ (87)

**ჩეხეთი:** ჩეხი, გოლფი (სიონკო 59), გრიგერა, უიფალუში, იანკულოვსკი (პოსპეში 13), პობორსკი, პოლაკი, შმიცერი, ბაროში, ჰაინცი (უანი 72), კოლერი

მსაჯი: ჰაუგე (ნორვეგია)

**რუმინელებმა** ჩეხთა სამასპინძლოდ ქალაქი კონსტანცა შეარჩიეს, კარპატელებმა ბუქარესტს ზღვისპირა პატარა ქალაქი იმიტომ ამჯობინეს, რომ იქაურია რუმინული ფეხბურთის ლეგენდა გეორგ ჰაჯი და კონსტანცას 15-ათასიანი სტადიონიც მისი სახელობისაა. სწორედ 15 ათასი ქომაგის თვალწინ გადახალისებულმა რუმინეთის ნაკრებმა უნეძვედო ჩეხეთს აჯობა და ის სამი ქულა მიითვალა, რომელმაც სამსოფლიოჩემპიონატო შანსი ჯერ კიდევ შეუნარჩუნა.

ჰაჯობა კი ადრიან მუტუმ გასწია — კოკაინმოყვარე ფორვარდმა თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა პეტერ ჩეხს. არადა, მატჩის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდათ. ჩეხთა ახმახ თავდამსხმელ იან კოლერს ბურთისთვის ოდნავ ზუსტად რომ ეთავაზებინა, სტუმრები დაწინაურდებოდნენ. რუმინელები მალე მოვიდნენ გონს და მეტოქეს მძლავრად მიაწვნენ, ამ მიძალებას მოჰყვა რეალური საგოლე შანსი, მაგრამ იონ მაცილუმ როგორღაც მოახერხა და ორიოდ მეტრიდან ბურთი კარს გადააცილა. რუმინელთა აქტიურობას გოლი მალე მოჰყვა — ადრიან მუტუმ ურთულესი მდგომარეობიდან ისეთი დააქუხა, რომ პეტერ ჩეხი უსაქმოდ დატოვა.

გოლგაშვებულმა ჩეხებმა ყურები არ ჩამოყარეს და გასათანაბრებლად გაიწივნენ, თუმცა მასპინძელთა მეკარე ბოგდან ლობონტს ვერაფერი დააკლეს. ამაოდ დაშვრნენ იან კოლერი, მილან ბაროში და იან პოლაკი, მათ დარტყმულ უკლებლივ ყველა ბურთს ლობონტი დაეპატრონა.

მეორე ტაიმის დასაწყისში რუმინელთა მეკარემ კვლავ გაიბრწყინა, ამჯერად ვლადიმირ შმიცერს არ დაანება გატანა. 56-ე წუთზე ზურგმოშიშვლებულ ჩეხებს მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევით და ადრიან მუტუს მეორე გოლით უპასუხეს, ამ გოლმა სტუმრები ხერხემალში გატეხა, რუმინეთს კი სამი ქულა გაუნაღდა. კონსტანცურმა გამარჯვებამ ვიქტორ პიცურკას გუნდი მეორე ადგილზე ატყორცნა, ოღონდ ეგაა, რომ რუმინეთს ჩეხეთზე ორი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული და საპლეიოფო მეორეობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ გუშინწინდელ შეხვედრაში 126-ედ მოირგო ჩეხეთის ნაკრების მაისურა დორიან მუნტიანუმ და გეორგ ჰაჯის რეკორდიც დაამხო.

**სომხეთი 0:1 ჰოლანდია**

0:1 ვან ნისტელროი (63)

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბულაჰრუზი, კრომკამპი, მადურო, ოპდამი, ვან ბრონკჰორსტი, კოკუ, ლანძაატი (სნაიდერი 61), კუიტი, ვან ნისტელროი, ვან პერსი (ვან დერ ვაარტი 75)

მსაჯი: დუგლასი (შოტლანდია)

**ბევრს** კი ეცადნენ სომხები ჯგუფის ლიდერი ჰოლანდია ერევნიდან გაწბილებული გაეშვათ, მაგრამ ძალა რომ აღმართს ხნავს, „რაზდანზე“ შეკრებილი 4 000 მაყურებელი ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა. მარკო ვან ბასტენმა ტრავმების გამო ერევანში როი მაკაი და არიენ რობენი ვერ იახლა, თუმც მათი შემცვლელების პოვნა ჰოლანდიელთა თავკაცს არ გასჭირვებია — ვან ნისტელროის მხარდამხარ სომეხთა კარს დირკ კუიტი და რობინ ვან პერსი უტევდნენ. სომეხთა კარს კი იცავდა რომან ბერეზოვსკი და რომ არა მისი საოცარი თამაში, სტუმრები ერთ გოლს არ დასჯერდებოდნენ.

ბერეზოვსკიმ ჯერ ვან ნისტელროის არ გაატანინა, მერე კი კუიტის უძლიერესი დარტყმული გამოაძრო ცხრიანიდან. 63-ე წუთზე სომხებს ვერც ბერეზოვსკიმ უშველა — ჰალიდ ბულაჰრუზის ფლანგურ პასს ფილიპ კოკუმ თავით უცვალა მიმართულება, ბურთი კართან ჩასაფრებულ ვან ნისტელროის მიუვიდა და „მანჩესტერის“ ფორვარდმაც ჰოლანდიელთა გამარჯვებისა შეაგდო.

**სოსო ძოტორეიშვილი**

**ანდორა 0:0 ფინეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 9 | 8 | 1 | 0 | 21:3 | 25 |
| რუმინეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:10 | 22 |
| ჩეხეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 28:9 | 21 |
| ფინეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:14 | 13 |
| მაკედონია | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ანდორა | 10 | 1 | 2 | 7 | 4:27 | 5 |
| სომხეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 5:21 | 4 |



პორტუგალია — ლუქსემბურგი 6:0. პორტუგალიელმა პედრო პაულეტამ მარკ ობერვეისს ორჯერ გაუტანა

## რუსებს მეტი შეუძლიათ

III ჯგუფი

**რუსეთი 2:0 ლიხტენშტაინი**

1:0, 2:0 კერჟაკოვი (27, 66)

*იგნაშევიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე, 4)*

**რუსეთი:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, სმერტინი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, პავლიუჩენკო (ალდონინი 66), არშავინი (ტიტოვი 75), ბილიალეტდინოვი, კერჟაკოვი (კირიჩენკო 82)

გაფრთხილება: იელე, დელია, ბურგმაიერი

მსაჯი: ჰიეტია (ფინეთი)

**რასაკვირველია,** რუსეთის ნაკრები მნიშვნელოვნად აღემატება კლასით ლიხტენშტაინს და გამარჯვებაც მაინცდამაინც არ გაჭირვებია, მაგრამ რამდენიმე გარემოება ყურადღებას მაინც იპყრობს. კერძოდ ის, რომ მეტოქე დავჩაგრეთო, რუსები ვერ იტყვიან, რაც იქაური პრესის მიმოხილვებიდანაც ჩანს — გამარჯვებით მიღებული სიხარული თავშეკავებულია და რუსი ჟურნალისტები აქცენტს იმაზე აკეთებენ, ჩვენებს უკეთესადაც შეუძლიათ თამაშიო. არგუმენტად კი ის მოჰყავთ, რომ მოედნის შუაგულს საკმაო დროის განმავლობაში ლიხტენშტაინელები აკონტროლებდნენ, რუსები კი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მაგრამ ისიცაა, რომ ბურთის მეტხანს ფლობის მიუხედავად, ლიხტენშტეინელები რუსთა მეკარე აკინფეევს არ აწუხებდნენ.

ასეა თუ ისე, რუსებმა სამი ქულა მიითვალეს და ამ ტურში არმოთამაშე სლოვაკებს გაუსწორდნენ. ნაკრების მწვრთნელმა იური სიომინმა კი პრესკონფერენციაზე თქვა, მე-3 წუთზე პენალტი რომ არ გაგვეფუჭებინა, სულ სხვა თამაში წავიდოდა და ნახავდით, როგორი ანგარიშითაც მოვიგებდითო.

**პორტუგალია 6:0 ლუქსემბურგი**

1:0 ანდრადე (23), 2:0 კარვალიო (30), 3:0, 4:0 პაულეტა (38, 57), 5:0, 6:0 სიმაო (80, 84)

**პორტუგალია:** რიკარდო, რიკარდო კარვილიო, ნუნუ ვალენტი, ანდრადე, პარეირა, ფიგუ, კოშტინია, მანიშე (მოუტინიუ 46), დეკო (პოშტიგა 68), პაულეტა, კრისტიანო რონალდო (სიმაო 62)

გაფრთხილება: დეკო, რეიტერი, ლევაკო

მსაჯი: ვან ეგმონდი (ჰოლანდია)

**პორტუგალიელებმა** მთელი 26 წუთის განმავლობაში ვერ მოახერხეს მეტოქის კარის დალაშქვრა. თავისთავად, 26 წუთი ბევრიც არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ერთ მხარეს პორტუგალიაა, მეორე მხარეს კი ლუქსემბურგი...

თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ბოლო პორტუგალიელთათვის კეთილი გამოდგა. ბოლო ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა ამ შესარჩევ ციკლში შინ მეორედ მოიგეს დიდი ანგარიშით. ლუქსემბურგამდე მათ, მოგეხსენებათ, ვიორგი იარცევის ფორმაციის რუსეთის ნაკრები გაანადგურეს.

„ალგარვეზე“ გასული ექვსი გოლიდან კი ერთს გამოვარჩევთ, სამათის ბოლო გოლს: პორტუგალიელის დარტყმული ლუქსემბურგი მცველს ხელზე მოხვდა და კარში ისე გავიდა. მსაჯმა კი პენალტის დანიშვნას გოლის ჩათვლა ამჯობინა.

**კოტე კეკელია**

**ესტონეთი 2:1 ლატვია**

1:0 ოპერი (11), 2:0 მაქს სმირნოვი (71), 2:1 ლაიზანი (90)

**ესტონეთი:** კოტენკო, იაგერი, კრუგლოვი, პიროია, ა. სტეპინოვი, დმიტრიევი, ლეეტმა, მაქს სმირნოვი (ტევერი 78), ტერეხოვი, ოპერი, ვიკმიაე (ნეემცო 57)

**ლატვია:** კოლინკო, კორაბლევი, მარის სმირნოვი, ი. სტეპანოვი, ზირნისი (მოროზი 86), ასტაფიევი, ბლეიდცისი, ლაიზანი, რუბინი, ვერპაკოვსკი (სოლონიცინი 81), რიმკუსი (პროხორენკოვი 75)

გაფრთხილება: ი. სტეპანოვი

მსაჯი: მალიენკო (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 7 | 2 | 0 | 30:4 | 23 |
| რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 18:11 | 18 |
| სლოვაკეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 19:6 | 15 |
| ლატვია | 10 | 4 | 2 | 4 | 17:17 | 14 |
| ესტონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| ლიხტენშტეინი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 3:35 | 0 |



სომხეთი — ჰოლანდია 0:1. სომეხთა მეკარე რომან ბერეზოვსკი და ჰოლანდიელთა კაპიტანი ფილიპ კოკუ

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ჯიბრილს კოჭი ჯიბრში უდგას



საფრანგეთი — ფარერები 3:0.
ზინედინ ზიდანმა (მარჯვნივ) საფრანგეთს ფრთები შეასხა

**IV ჯგუფი**

**საფრანგეთი 3:0 ფარერები**

1:0 სისე (13), 2:0 ოლესენი (ჩ.კ.), 3:0 სისე (76)
**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, გალასი, ბუმსონგი, ტურამი (სკილაჩი 76), ვიეირა, მაკელელე, მალუდა, ზიდანი (დორასო 59), სისე, ანრი (ვილტორდი 67)
მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)

**როგორც** მოსალოდნელი იყო საფრანგეთის ნაკრებმა, რომელსაც დარჩენილ თამაშებში ხელს მხოლოდ მოგებები აძლევს, ფარერებს ლანსში სამი ქულა დაატოვებინა და თან ყოყმანისა და ეჭვის გარეშე. მართალია შეხვედრა დიდი სანახაობრიობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ჯიბრილ სისემ თანაგუნდელების ხელშეწყობით ოჯერ სრულიად მშვიდად შეასრულა ის, რისი შესრულებაც მართებდა. მესამე გოლი ფარერელ სუნი ოლსენს თავის კარში გაუვიდა.

„ეს, ჩვენი ოთხთამაშიანი საქმის პირველი ნაბიჯი გახლდათ, — განაცხადა მატჩის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა, — იმისათვის, რომ მეორე შეხვედრას სტიმულით შევხვედროდით, დღეს აუცილებლად უნდა მოგვეგო, რაც შევძელით კიდეც, ასე, რომ ჯგუფის ზედა ორი ადგილიდან ერთ-ერთზე მოსახვედრად ბრძოლას განვაგრძობთ. მომეწონა, რომ ჩემმა გუნდმა დიდი მონდომება გამოამჟღავნა. აშკარად გამოჩნდა, რომ ფეხბურთელებს გონებაში მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული მიზანი. ახლა, ოთხშაბათს, ირლანდიაში კლდედ უნდა აღვიმართოთ და მასპინძლებს ლაღობის საშუალება არ მივცეთ. რაც შეეხება გოლებს, თუ მათაც სამს გავუტანთ სულაც არ ვიქნებით უკმაყოფილო."

საფრანგეთის ასეთი აღტაცება და იშტა საყოველთაოდ ცნობილია, რომ გუნდში ზინედინ ზიდანის დაბრუნებამ გამოიწვია. შაბათს „რეალის" ვარსკვლავმა მოედანზე სრული პირველი ტაიმისა და მეორეს მცირე ნაწილის განმავლობაში დაჰყო, შემდეგ კი პრეს კონფერენციაზე განაცხადა:

„ჩვენ ამ შეხვედრას ძალიან სერიოზულად მივუდექით და შანსი ხელიდან არ გავუშვით. ახლა, ირლანდიასთან ბურთის გასაგორებლად ნაკლები სივრცეები გვექნება, მაგრამ სწორედ ამიტომ შეტევაში გაცილებით ეფექტურები უნდა ვიყოთ"

აღსანიშნავია, რომ ზიდანი მოედნიდან კოჭლობით გავიდა, მაგრამ ექიმები პირობას დებენ, რომ ფრანგთა ლიდერს ოთხშაბათისთვის პრობლემა აღარ ექნება. აი, ლივერპულელი ჯიბრილ სისეს ტრავმა კი უფრო ცუდი ჩანს.

„ამწუთას კოჭი მტკივა და თუ ეს ტკივილი არ დაიკლებს, საეჭვოა ოთხშაბათს სირბილი შევძლო, — განაცხადა თავად ფორვარდმა, — მეორე მხრივ კი ასე კარგად დიდი ხანია არ მითამაშია და ძალიან არ მინდა კიდევ ერთ ძლიერ გამოსვლაში რამემ ხელი შემიშალოს".

**შვეიცარია 1:1 ისრაელი**

1:0 ფრეი (5), 1:1 კეისი (20)
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, ფ. დეგენი, მიულერი, სენდეროსი, მაგნინი (სპიჩერი 89), გიგაქსი, ფოგელი, ბარნეტა, ჰ. იაკინი (კაბანასი 65), ვონლანტენი (ლუსტრინელი 82), ფრეი
**ისრაელი:** დავიდოვიჩი, საბანი, ჰარაზი, ბენ ჰაიმი, ბენადო, კეისი, ბადირი, ტალი, ნიმნი (ზანდბერგი 71), ბენაიუნი (სუანი 93), კატანი (გოლანი 65)
მსაჯი: როსეტი (იტალია)

**ამ ფრით** ისრაელმა მუნდიალზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. თუ ეს მოხდება, აღთქმული ქვეყნის გუნდი 1970 წლის შემდეგ პირველად გავა მსოფლიოს უდიდეს შეჯიბრებაზე. შანსი კი ადორამ კეისის გოლმა დატოვა. ეს გოლი პასუხი გახლდათ ალექს ფრეის მეხუთე წუთის წარმატებაზე, რომლის აღწერაც ასე შეიძლება: ტრანკვილო ბარნეტამ ძელს გაარტყა ბურთი, რომელსაც ზემოხსენებულმა ფრეიმ უხელთა და ახლიდან ბადეში შეაგდო.

აღვწეროთ კეისის გოლიც: იდან ტალმა ჯარიმა შორიდან დაარტყა, ხოლო კეისიმ ბურთს თავი მიჰკრა და მეკარე ცუბერბიულერის შეყოვნებული რეაქციის წყალობით ბადეში შეაგდო.

შვეიცარიას მაინც შეეძლო მოგება, მაგრამ ისრაელის ნაკრების საბედნიეროდ დავიდოვიჩმა 22-ე წუთზე დიდებულად მოიგერია იაკინის დარტყმული ჯარიმა. 86-ე წუთზე ფრეიმ ხარიხას მოარტყა ბურთი.

**პაპუნა კედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 3 | 4 | 0 | 14:5 | 13 |
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:4 | 13 |
| საფრანგეთი | 7 | 3 | 4 | 0 | 8:1 | 13 |
| ისრაელი | 8 | 2 | 6 | 0 | 11:9 | 12 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:12 | 4 |
| ფარერები | 8 | 0 | 1 | 7 | 3:23 | 1 |




შვეიცარია — ისრაელი 1:1.
ისრაელს შვეიცარიაში პოლიტიკური ლოზუნგები დახვდა

**V ჯგუფი**

**შოტლანდია 1:1 იტალია**

1:0 მილერი (13), 1:1 გროსო (76)
**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, დეილი, ვებსტერი, უეირი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი, მაკნამარა, ქუოში (მაკკანი 66), მაკფადენი, მილერი (ბიტი 76)
**იტალია:** პერუცი, ძაკარდო (გროსო 46), კანავარო, ნესტა, ძამბროტა, გატუზო, პირლო, დე როსი (კამორანეზი 60), ტოტი, იაკინტა (ტონი 71), ვიერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

## რატომ შეშურა ჯილარდინომ ფეხბურთს?

**დავიწყოთ** იმით, რაც მეორე დღეს ითქვა და დაიწერა: „თამაშზე მაყურებლად რომ ვიყავი წაყვანილი ყოველგვარი განმარტების გარეშე იმ შუადღისას გავიგე. რას იზამ, ასეთია ფეხბურთი, ხოლო მწვრთნელის გადაწყვეტილება საბოლოოა" — განაცხადა თავდამსხმელმა, რომელიც წინა დღეს ყველა იტალიურ გამოცემას სავარაუდო შემადგენლობაში ჰყავდა შეყვანილი. საუბარია „მილანის" გვარიანად ძვირ შენაძენსა და იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავზე, ალბერტო ჯილარდინოზე. ერთი სიტყვით, „სკუადრა აძურას" თავკაცს, მარჩელო ლიპის სქოთებთან ფრე და უპირველეს ყოვლისა ჯილარდინოს სათადარიგოთა სკამზე დასმა აპენინებზე პასივში ჩაუთვალეს. თავად მწვრთნელმა კი ჯილარდინოზე თქვა, რომ ვარჯიშებზე სიმწვავე მოკლებული ეჩვენა.

თამაში მართლაც ვერ დაიკვეხნიდა მაღალი ხარისხით და იტალიელები მხოლოდ ფაბიო გროსოს გვიანმა გოლმა გადაარჩინა.



შოტლანდია — იტალია 1:1. ფაბიო გროსომ (შუაში) იტალიას ქულა დაუტოვა

აღსანიშნავია, რომ ლიპი მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში სამკაცა თავდასხმას ერთგულებდა, ასე იყო გლაზგოშიც, თუმცა, როგორც მოგახსენეთ მოსალოდნელი ჯილარდინოს მაგივრად „უდინეზეს" ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა ჩართო ძირითად შემადგენლობაში. არ იყო ალესანდრო დელ პიეროც.

კიდევ, „სკუადრა აძურას" კარს იცავდა ანჯელო პერუცი, უფრო სწორად კი პირველად კარგა ხნის შემდეგ არ იცავდა ჯანლუიჯი ბუფონი. მოედნის შუაში ტრიალებდა „გლაზგო რეინჯერსის" ოდინდელი მოთამაშე ჯენარო გატუზო.

იტალიელებს სახიფათო მომენტი პირველსავე წუთზე ჰქონდათ, როდესაც ფრანჩესკო ტოტის ნაჯარიმალი ბურთი კრისტიან ძაკარდოს მიუვიდა, მაგრამ მას სქოთთა მეკარე კრეიგ გორდონი გადაელობა.

ანგარიში მე-13 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს — პოლ ჰარტლის ჩაკიდებულ ბურთს სხვებზე ზემოთ ამხტარმა კენი მილერმა თავი ჰკლიჯა და ბადეში შეაგდო.

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მაურო კამორანეზის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულმა ბურთმა კინაღამ მასპინძელთა ფეხიდან ამოჰყო მასპინძელთავე კარში თავი, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მეკარემ ხელი აჰკრა და ახალშესულ გროსოს აკრობატული გოლის გატანის საშუალება მიეცა.

მატჩის შემდეგ „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ თქვა:

„საოცარი ის იყო, რომ მასპინძლებს მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი საგოლე მომენტის შექმნის საშუალება მივეცით და მათაც გამოიყენეს."

აღსანიშნავია, რომ გროსოს გოლი გახლდათ ისტორიაში პირველი, რომლის გატანაც იტალიელებმა შოტლანდიაში მოახერხეს.

„მე ეს არ ვიცოდი" — განაცხადა შემდეგ გროსომ.

**პაპუნა კედია**

**სლოვენია 2:3 ნორვეგია**

0:1 კარეუ (3), 1:1 ჩიმიროტიჩი (5), 1:2 ლუნდეკვამი (24), 2:2 ზლოგარი (83), 2:3 პედერსენი 90)

**მოლდოვა 2:0 ბელარუსი**

1:0, 2:0 როგაჩოვი (15, 50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 14 |
| ნორვეგია | 7 | 3 | 3 | 1 | 9:5 | 12 |
| სლოვენია | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ბელარუსი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:9 | 7 |
| შოტლანდია | 7 | 1 | 4 | 2 | 4:5 | 7 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3:11 | 5 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ბოდიში ასეთი მოგებისთვის

**VI ჯგუფი**

**უელსი 0:1 ინგლისი**

0:1 ჯო კოული (54)

**უელსი:** კოინი, დაფი, პეიჯი (კოლინზი 64), გებიდონი, პარტრიჯი, რიკეტსი, ფლეტჩერი, რობინსონი (კუმასი 55), დევისი (ერნშოუ 69), გიგზი, ჰარტსონი

**ინგლისი:** რობინსონი, იუნგი, კარაგერი, ფერდინანდი, ეშლი კოული, ბექჰემი, ლამპარდი, ჯერარდი (რიჩარდსონი 84), რაით-ფილიპსი (დეკო 67), ჯო კოული (ჰარგრივსი 76), რუნი

გაფრთხილება: ჰარტსონი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**ინგლისი** მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლას აგრძელებს. ბრძოლის ამ ეტაპზე ინგლისელებმა მეზობელ უელსს სძლიეს მისსავე მოედანზე ჯო კოულის ერთადერთი გოლით. საერთოდაც ინგლისი გვარიან უპირატესობას ფლობდა, თუმცა ერთი ეპიზოდი იყო, როცა მის მეკარე ემილ რობინსონს დიდებული ნახტომის გაჭიმვა მოუხდა ჯონ ჰარტსონის დარტყმულის მოსაგერიებლად.

ის ერთადერთი გოლი კი ასე გავიდა: ჯო კოულმა შონ რაით-ფილიპსისგან მიიღო პასი, დაარტყა, ბურთი დენი გებიდინს მოხვდა, მიმართულება იცვალა და იმ მხარეს არ წავიდა, საითაც მეკარე დენი კოინი იცდიდა.

— ჩვენ კიდევ ერთი მატჩი მოვიგეთ. კიდევ სამი ქულა შევიმატეთ და ასე თუ გავაგრძელეთ, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლაც შეგვიძლია — თქვა ნამატჩევს ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა.

ჯო კოულს კი იმ ერთის გარდა კიდევ შეეძლო გატანა. თუნდაც იმ ეპიზოდში, ექვსი იარდიდან რომ ააცილა კარს. ნაღდი მომენტები წაახდინა უეინ რუნიმაც. რამდენიმე ეპიზოდში კი უცხოელები ახალგაზრდა მეკარე კოინმა იხსნა.

უნდა ითქვას, რომ ერიკსონმა 4-5-1 სქემით ამჯობინა თამაში და ნამატჩევს აღინიშნა, სწორედ ხუთი გამოცდილი ნახევარმცველის ჩინებულმა გარჯამ მოედნის შუაში განაპირობა ინგლისელთა სრული უპირატესობა მოედანზეო.

ამის თაობაზე კაპიტანმა ბექჰემმა განაცხადა: „ჩვენი ნახევარდაცვა მთელი მატჩის განმავლობაში შეუდარებელი იყო. ხოლო როცა შუაში ფრენკ ლამპარდი და სტივენ ჯერარდი გყავს, გუნდს თამაში ერთიორად უადვილდება“.

მერე ბექჰემს ჰკითხეს, ამ სისტემით თამაში თუ მოგეწონაო, რაზეც ფეხბურთელმა უპასუხა, პროფესიონალი ფეხბურთელი სისტემას არ ირჩევს, რასაც მწვრთნელი ეტყვის, ის უნდა გააკეთოსო.

ერთი სიტყვით, ერიკსონის გუნდმა ანგარიშით ვერა, მაგრამ თამაშის ხარისხით, გულშემატკივართა გულები კი მოიგო. ის გულები, რომლებიც დანიასთან ამასწინანდელი სირცხვილის მერე გაბზარული გახლდათ.



AFP კარდიფიდან

უელსი — ინგლისი 0:1. ჯო კოულმა უელსი დაამარცხა

**პოლონეთი 3:2 ავსტრია**

1:0 სმოლარეკი (13), 2:0 კოსოვსკი (22), 2:1 ლინცი (61), 3:1 ჟურავსკი (68), 3:2 (80)

**პოლონეთი:** ბორუცი, რჟასა, ბაკი, კლოსი, ბაშჩინსკი (ჟევლაკოვი 88), სობოლევსკი, სმოლარეკი (მილა 73), ჟიმკოვიაკი (რადომსკი 83), კოსოვსკი, ჟურავსკი, რასიაკი

**ავსტრია:** შრანცი, ჰაიბლინგერი, პოგატეცი, შტანდფესტი, ემანი, კუბაუერი, აუფჰაუზერი, შტრანცლი, ივანშიცი, შოპი (კოზენბნერი 81) მაირლები (ლინცი 46), კულიკი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

**პოლონეთის** ნაკრების სელტიკელი ფორვარდი მასიუ ჟურავსკი მატჩის გმირი გახდა, რაკილა სწორედ მისმა მესამე გოლმა დაამარცხებინა პოლონეთს ავსტრიის ნაკრები. არადა, დიდი შანსი იყო, ჟურავსკი ანტიგმირი გამხდარიყო — 68-ე წუთზე მისი დარტმული პენალტი სტუმართა მეკარემ მოიგერია და კიდევ კარგი, ჟურავსკიმ დამატებაზე ივარგა...

ახლა, ქულათა ამგვარი გადანაწილებით, პოლონეთს ერთი მოგებაღა სჭირდება და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის. შეიძლება, ჯგუფში პირველი ადგილი დათმოს, მაგრამ საუკეთესო მეორეობა გარანტირებული ექნება, რაც მუნდიალზე პლეიოფის გვერდის ავლით წასვლას ნიშნავს.

ბედნიერი ვარ თუ არა? — ჩაფიქრდა პოლონელთა მწვრთნელი პაველ ჟანასი, როცა პრესკონფერენციაზე ამის თაობაზე ჰკითხეს — უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ბედნიერი მაშინ ვიქნები, ოთხშაბათს უელსს თუ დავამარცხებთ“.

ოქმში ანგარიშის ცვლილებებს თუ გადავავლებთ თვალს, შევნიშნავთ, რომ პოლონეთი სწრაფად დაწინაურდა ორი ბურთით და წესით მოგება არც უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ იმავ ოქმიდან ისიც ჩანს, რომ ბოლო წუთებამდე საქმე სანერვიულოდ ჰქონდა. ამის მიზეზი, ავსტრიელთა ბრძოლისუნარიანობის გარდა, მცველთა უხეში შეცდომებიც გახლდათ, რის შედეგადაც პოლონეთი ბოლომდე იდგა ვერმოგების საშიშროების წინაშე.

„დაცვა ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს — თქვა ჟანასმა — სათამაშო დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ჩვენს საჯარიმოში პანიკა სუფევდა და უამრავი უსიამოვნო წუთი გადავიტანეთ“.

მთელი პირველი ტაიმი პოლონელებისა იყო და ავსტრიელებს უხეშობის მეტი ფაქტობრივად არაფერი უკეთებიათ. ამის დასტურია ისიც, რომ მასიმო დე სანტისმა ავსტრიელები საბოლოოდ ექვსი ყვითელი ბარათით დააჯილდოვა. თუმც შესვენების მერე მოედანზე როლანდ ლინცისა და პოლონელთა გახშირებული შეცდომების გამოისობით, სურათი შეიცვალა. იშვიათი შემთხვევაა — მოგებული თამაშის მერე გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელი მიროსლავ ჟიმკოვიაკმა გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა: „ძალიან ვწუხვართ, რომ ქომაგები ასე კანერვიულეთ“.



AFP ქატოვიციდან

პოლონეთი — ავსტრია 3:2. პოლონელ ჟურავსკის ავსტრიელი შრანცის კარში მესამე და გადამწყვეტი გოლი გააქვს

ისე, ნერვიულობა მერე გვსახსო, წამატებულ დროში ლინცს ხარიხოსთვის გარტყმის ნაცვლად მესამე გოლი რომ შეეგდო პოლონელებისთვის.

**ჩრდ. ირლანდია 2:0 აზერბაიჯანი**

1:0 ელიოტი (60), 2:0 ფინეი (72)

**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, ბაირდი, ჰიუზი, კრეიგანი, კაპალდი, გილესპი, ჯონსონი, დევისი, ელიოტი (რობინსონი 89), ჰელი (ჯონსი 79), ქუინი (ფინეი 72)

**აზერბაიჯანი:** კრამარენკო, ამირშეკოვი, თაგიზადე (ნაბიევი 84), მუზიკა, იმამალიევი, მ. გურბანოვი (პონომარიოვი 66), სადიგოვი, გულიევი, გაჯიევი, კერიმოვი, ალიევი (შუკუროვი 74)

გაფრთხილება: გულიევი, ალიევი, ამირბეკოვი, სადიგოვი

მსაჯი: დეიან სტანისიჩი (სერბეთი)

**BBC წერს,** სტიუარტ ელიოტის და უორენ ფინეის გოლებით ჩრდილოეთ ირლანდიამ სავსებით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა აზერბაიჯანთან შეხვედრაშიო. ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუმც ამ გამარჯვების პრაქტიკულ ღირებულებაზე თუ ვილაპარაკებთ, აღმოჩნდება, რომ სათქმელიც არაფერია — ერთხელ და მეორესაც მუნდიალზე მოხვედრის შანსი დიდი ხნის დაკარგული აქვთ. ამიტომაც თამაშის პერიპეტიებზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებთ და ოდენ გოლების აღწერით დავკმაყოფილდეთ: ელიოტმა 25 იარდიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, ფინეიმ კი ვეტ გოლების წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 25:7 | 21 |
| ინგლისი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:3 | 19 |
| ავსტრია | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 3 | 3 | 7:13 | 6 |
| უელსი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:12 | 2 |
| აზერბაიჯანი | 8 | 0 | 2 | 6 | 1:19 | 2 |



AFP ბელფასტიდან

ჩრდ. ირლანდია — აზერბაიჯანი 2:0. სტიუარტ ელიოტს აზერბაიჯანთან ანგარიშის გახსნა გაუხარდა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## სერბეთმა ესპანეთს ესპანეთამდე გაუსწრო


AFP ბელგრადიდან

სერბეთი — ლიტვა 2:0. საშა ილიჩმა და მლადენ კრსტაიჩმა (მარჯვნივ) ლიტვა დაამარცხეს

**VII ჯგუფი**

**სერბეთი 2:0 ლიტვა**

1:0 კეჟმანი (18), 2:0 ილიჩი (75)
**სერბეთი:** იევრიჩი, კრსტაიჩი, ვიდიჩი, ჯორჯევიჩი, გავ̀სანჩიჩი, დულია, დრაგუტინოვიჩი, ილიჩი (ფუკიჩი 89), სტანკოვიჩი, კეჟმანი (ზიდიჩი 76), მილოშევიჩი (კორომანი 59)
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

**მატია კეჟმანის** შესანიშნავი თამაშის წყალობით მსოფლიოს ჩემპიონატის მე-7 შესარჩევ ჯგუფში სერბიის ნაკრებმა ლიტვის ეროვნულ გუნდს 2:0 მოუგო. მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, ხოლო შესვენების შემდეგ დროული პასით მეორე გოლის თანაავტორიც შეიქნა. ამ შედეგით ბალკანელები ჯგუფის ლიდერები გახდნენ — სადღეისოდ 15-ქულიან სერბეთს მეორეადგილოსანი ესპანეთი 2 ქულით ჩამორჩება. ბელგრადის მატჩში კი მასპინძლებმა მოშხვდურები იოლად დაჩაგრეს და მე-18 წუთზე კეჟმანის გატანილი გოლიც სრულიად დამსახურებული გახლდათ — ლიტველთა გოლკიპერმა კარჩემარკასმა ვიდიჩის გასროლა უკუაგდო, თუმც პირინეელ „ათლეტთა" მოიერიშეს ვერაფერი მოუხერხა... ვიდიჩი მეორე ტაიმშიც აქტიურობდა, პენალტიც „დაიმსახურა", მაგრამ სავო მილოშევიჩმა თერთმეტმეტრიანის გატანა ვერ შეძლო. მატჩის მეორე და საბოლოო გოლი საშა ილიჩმა შეაგდო, ზუსტი გადაცემა კი, როგორც მოგახსენეთ, მატია კეჟმანის ანგარიშზეა... სერბეთის ნაკრები ოთხშაბათს ესპანეთში ლუის არაგონესის შეგირდებს უნდა დაუპირისპირდეს.

**ბოსნია 1:0 ბელგია**

1:0 ბარბარესი (62)

მე-7 ჯგუფის მეორე ბალკანელი წევრი, ბოსნიის ეროვნული გუნდი, ბელგიასთან გამარჯვების მერე კვლავაც მესამე ადგილზე დაბრუნდა. საშინაო შეხვედრა ბოსნიელებმა შეტევებით დაიწყეს და ბელგიელთა კარის დარაჯ პროტოს დიდი ოფლისღვრა დასჭირდა, ზლატან ბაირამოვიჩისა და ვლადან გრუიჩის იერიშები რომ მოეგერიებინა. მერე დამხვდურთა კაპიტანმა სერგეი ბარბარესმა სახიფათო საჯარიმო დაარტყა, თუმც ბურთი სულ ოდნავ ასცდა მიზანს. 42-ე წუთზე პროტომ ივაჟკაცა და იგივე ბარბარესის ყუმბარისებური გასროლა დიდი გაჭირვებით უკუაგდო. პირველ ტაიმში ბელგიამ წინა ხაზზე მეტისმეტად ულიმღამოდ ითამაშა, თუმცა „წითელი ეშმაკები" შესვენების მერე გამოფხიზლდნენ და მბო მპენზამ ბოსნიელთა მეკარე ხასაჯიჩიც შეაწუხა სახიფათო ვიზიტით. გამარჯვების გოლი მასპინძლებმა 62-ე წუთზე გაიტანეს — ბარტოლოვიჩმა კუთხური მოაწოდა, მილენკოვიჩმა ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი ბარბარესი დროულად შენიშნა და ამ უკანასკნელსაც პროტოს კარის დალაშქვრა არ გასძნელებია. ამის შემდეგაც ბოსნიელები გააფთრებით უტევდნენ და რომ არა მფარველი ფორტუნა, ბელგიის ნაკრები ზენიცას არენას კარამოვსებული დატოვებდა. სტუმართა მთავარი ჩაუქი დაბნეულ მცველთაგან ღვთის ანაბარად მიტოვებული მეკარე პროტო გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 12:0 | 15 |
| ესპანეთი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:2 | 13 |
| ბოსნია | 7 | 2 | 4 | 1 | 8:8 | 10 |
| ლიტვა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| ბელგია | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 2:23 | 0 |


AFP ზენიციდან

ბოსნია — ბელგია 1:0. ბოსნიელთა მეკარემ, კენან ჰასაჯიჩმა მბო მპენზას (მარცხნივ) ბელგიას აჯობა

## კუდში მადევარი შვედები

**VIII ჯგუფი**

**შვედეთი 3:0 ბულგარეთი**

1:0 ბიუნგბერგი (60), 2:0 მელბერგი (76), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (90)
**შვედეთი:** ისაკსონი, ლუჩიჩი, მელბურგი, ედმანი, ოსტრუმი, კელსტრემი (ალექსანდერსონი 71), ლინდეროტი, ლიუნგბერგი (ანდერსონი 90), ვილ ჰელმსონი (იონსონი 80), იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი
**ბულგარეთი:** ივანკოვი, ტოპუზაკოვი, გეორგიევი, პეტკოვი, ვ. ილიევი, კიშიშევი, ს. პეტროვი, იანკოვი (გ. ილიევი 77), ივანოვი (გარგოროვი 58), ლაზაროვი (კამბუროვი 77), მ. პეტროვი
გაძევება: გეორგიევი (49)
მსაჯი: დე ბლიკერი (ბელგია)

**შვედეთში** ჩასულ ბულგარელებს კარგად ესმოდათ, რომ ამ მატჩის მოგება მათ მუნდიალზე მოხვედრის ბოლო შანსს მისცემდა, მაგრამ ხრისტო სტოიჩკოვის გუნდმა სკანდინაველებს ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა.

მასპინძლები საწყის წუთებშივე ეკვეთნენ მეტოქეს და რამდენიმე კარგი მომენტი შექმნეს. ბულგარელები თავიანთ გოლკიპერ დიმიტარ ივანკოვს უნდა უმადლოდნენ, რომ პირველ ტაიმში კარი მშრალად შეინახეს. შესვენებამდე ოსტატობა ერთხელ ანდრეას ისაკსონმაც გამოავლინა, როდესაც მარტინ პეტროვის დარტყმა უკუაგდო.

მეორე ტაიმი სულ რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, მინდვრიდან ბლაგოია გეორგიევი რომ გააძევეს. ამან ძალიან გააბრაზა ხრისტო სტოიჩკოვი, რომელმაც ნერვები ველარ მოთოკა და უკმაყოფილება ზედმეტად ემოციურად გამოხატა, რისთვისაც მასაც წითელი ბარათი აუფრიალეს.

ათი კაცითა და უმწვრთნელოდ დარჩენილი ბულგარელები კი ფაფხურობდნენ, მაგრამ რეალური წინაალმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს. მშვენივრად მოთამაშე ჰენრიკ ლარსონმა ჯერ ფრედი ლიუნგბერგს გაატანინა, შემდეგ კი — ზლატან იბრაჰიმოვიჩს. ამ ბურთებს შორის კი თავური დარტყმით ოლაფ მელბერგმა იხეირა, ასე რომ, შვედები ხორვატიას კვლავ კუდში მისდევენ.


AFP სოლნადან

შვედეთი — ბულგარეთი 3:0. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა (№10) მესამე გოლი გაიტანა

**ისლანდია 1:3 ხორვატია**

1:0 გუდიონსენი (24), 1:1:, 1:2 ბალაბანი (56, 62), 1:3 სრნა (823)
**ხორვატია:** პლეტიკოშა, სიმიჩი, სიმუნიჩი, ტუდორი, ბაბიჩი (ბოშნიაკი 82), ნ. კოვაჩი, რ. კოვაჩი, ნ. კრანჩარი, სრნა, პრსო, ბალაბანი
მსაჯი: შტარკი (გერმანია)

**ჯგუფის** ლიდერმა ხორვატიამ ისლანდიაში გვარიანად იწვალა. მასპინძლებმა აგრესიულად დაიწყეს და მათმა ლიდერმა ეიდურ გუდიონსენმა ანგარიშიც გახსნა. უფერული პირველი ტაიმის შემდეგ ხორვატებმა თამაში გაათანაბრეს და ბალაბანმა მეტოქეს ხუთწუთიან მონაკვეთში ორი ბურთი მიართვა. საბოლოო წერტილი დარიო სრნამ დასვა და ზლატკო კრანჩარის გუნდი კიდევ უფრო მიუახლოვდა მუნდიალს.

**უნგრეთი 4:0 მალტა**

1:0 ტორჯნელე (35), 2:0 საიდი (55ს.კ.), 3:0 კატაჩი (65), 4:0 რაიჩი (85)

**მესამე** მატჩში უნგრეთმა მალტა გაანადგურა. ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა და არც სალაპარაკოა ბევრი. ამ გამარჯვებით მადიარებმა 13 ქულა დააგროვეს და მესამე ადგილზე არიან, მაგრამ ლოთარ მათეუსის გუნდს გერმანიაში სასწაული თუ მოახვედრებს.

**დავით ენდელაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 6 | 1 | 0 | 19:4 | 19 |
| შვედეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 26:2 | 18 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:11 | 13 |
| ბულგარეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:14 | 8 |
| ისლანდია | 8 | 1 | 1 | 6 | 11:21 | 4 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 2:30 | 1 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# პირველი გამარჯვების დღე

**XVI ტური**

**ვენესუელა 4:1 პერუ**

1:0 მალდონადო (16), 1:1 ფარფანი (63), 2:1 არანგო (68), 3:1, 4:1 ტორეალბა (73, 80)

**ბოლივია 1:2 ეკვადორი**

0:1 დელგადო (8), 1:1 ვაკა (42), 1:2 დელგადო (52)

**პარაგვაი 1:0 არგენტინა**

1:0 სანტა კრუზი (15)

გაძევება: ჰაინცე (54, არგენტინა)

**ბრაზილია — ჩილე**

*გუშინ გვიან დამთავრდა (იხ. მე-15 გვერდი. მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის)*

**ურუგვაი — კოლუმბია**

*გუშინ გვიან დამთავრდა*



ხოსე პეკერმანი არგენტინის თამაშით უკმაყოფილო დარჩა

**მართალია,** არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე გასულია, მაგრამ ხოსე პეკერმანის გუნდის მარცხს პარაგვაიში ცოტა ვინმე თუ ელოდა. თუმც მასპინძლებმა ორი სიურპრიზი შემოგვთავაზეს, ერთი, ცხადია, მატჩის საბოლოო შედეგია, ხოლო მეორე როკე სანტა კრუზი, რომელსაც წესით ტრავმის გამო არ უნდა ეთამაშა, მაგრამ „ბაიერნის“ ფორვარდმა არამარტო ითამაშა, არამედ გამარჯვების გოლიც შეაგდო.

მასპინძლები დაცვაში ტრადიციულად კარგად გამოიყურებოდნენ და შეტევაშიც აქტიურობდნენ. მათმა ერთ-ერთმა მწვავე იერიშმა შედეგი შეხვედრის დებიუტშივე გამოიღო და საბოლოოდ პარაგვაიმ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ისტორიაში პირველად დაამარცხა არგენტინა. პატაგონიელები კი ცოტათი მოდუნებულები ჩანდნენ და გარკვეულ ექსპერიმენტებს ატარებდნენ. 54-ე წუთზე კი მინდვრიდან გაბრიელ ჰაინსე მიაბრძანეს, რამაც პარაგვაის ამოცანა გაუადვილა.

ხოსე პეკერმანი: „მოდუნების უფლება არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალზე თამაში უკვე გავინაღდეთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი და ყოველ მატჩში უნდა დავიხარჯოთ. დღეს ყველაფერი მთლად კარგად არ გამოგვივიდა, ხოლო პარაგვაიმ იცოდა, შანსი როგორ გამოეყენებინა და გოლიც დაიმსახურა. მეტოქემ დაცვაში ძალიან ყურადღებით ითამაშა.“

„დღევანდელმა დღემ ერთიორად გაგვაძლიერა და მუნდიალს მიგვაახლოვა, რაც ძალიან მახარებს. თუმცა წინ ორი გადამწყვეტი თამაშია“ — აღნიშნა გამარჯვების გოლის ავტორმა როკე სანტა კრუზმა.

პარაგვაის დარად, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ეკვადორმაც, რომელიც ბოლივიას სტუმრობდა. მატჩის გმირი აგუსტინ დელგადო გამოდგა. გამოცდილმა ფეხბურთელმა თავის გუნდს ორი მშვენიერი დარტყმით გამარჯვება მოუტანა. ბოლივიელებმა ოდენ ერთი ბურთის გატანა შეძლეს. მეტოქის გოლკიპერი კრისტიან მორა კიდევ რამდენჯერმე გვარიანად შეაწუხეს, მაგრამ პერსპექტიულმა ახალგაზრდამ ბრწყინვალედ ითამაშა.

ამრიგად, ეკვადორმა ამ შესარჩევ ციკლში პირველი საგარეო 3 ქულა მოითვალა და საქმე ბევრად გაიადვილა. ლუის სუარესის ბიჭებს ჯერ კიდევ მოუწევთ ოფლის დაღვრა, მაგრამ გერმანია უკვე ძალიან ახლოსაა...



აგუსტინ დელგადოს (მარჯვნივ) გოლს ულოცავენ

შაბათს გამართულ მესამე მატჩში კი ვენესუელამ პერუ გამოიჭირა და გოლებით ამოავსო, რითაც მეხუთე ადგილის ჩაბღაუჭების მისტიკური შანსები შეინარჩუნა. მასპინძლები წინ მალევე გავიდნენ და დომინირებდნენ კიდეც. თუმცა 63-ე წუთზე პერუელთა ახალგაზრდა ვარსკვლავმა ჯეფერსონ ფარფანმა წონასწორობის აღდგენა შეძლო. სულ რაღაც ხუთ წუთში კი არანგომ სტატუს-კვო აღადგინა, რითაც სტუმრები საბოლოოდ გატეხა. ხოლო ტორეალბამ შვიდწუთიან მონაკვეთში დუბლი გააკეთა და თავის გუნდს სოლიდური სხვაობით მოაგებინა.

**ჯარჯი ჩხაიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 16 | 9 | 4 | 3 | 27:16 | 31 |
| ბრაზილია | 15 | 7 | 6 | 2 | 26:16 | 27 |
| ეკვადორი | 16 | 8 | 2 | 6 | 23:19 | 26 |
| პარაგვაი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:22 | 25 |
| კოლუმბია | 15 | 5 | 5 | 5 | 20:12 | 20 |
| ჩილე | 15 | 5 | 5 | 5 | 17:16 | 20 |
| ვენესუელა | 16 | 5 | 3 | 8 | 20:24 | 18 |
| ურუგვაი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:26 | 18 |
| პერუ | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| ბოლივია | 16 | 4 | 1 | 11 | 18:32 | 13 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა

**I ჯგუფი**

**ზამბია 0:1 სენეგალი**
**მალი 2:0 კონგო**
**ტოგო 3:0 ლიბერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოგო | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 20 |
| სენეგალი | 9 | 5 | 3 | 1 | 18:8 | 18 |
| ზამბია | 9 | 5 | 1 | 3 | 11:10 | 16 |
| კონგო | 9 | 3 | 1 | 5 | 8:11 | 10 |
| მალი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:11 | 8 |
| ლიბერია | 9 | 1 | 1 | 7 | 3:22 | 4 |

**II ჯგუფი**

**ბურკინა ფასო 3:1 სამხ. აფრიკა**
**დრ კონგო 2:1 კაბო ვერდე**
**განა 2:0 უგანდა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 9 | 5 | 3 | 1 | 13:4 | 18 |
| დრ კონგო | 9 | 4 | 3 | 2 | 12:8 | 15 |
| სამხ. აფრიკა | 9 | 5 | 0 | 4 | 10:12 | 15 |
| ბურკინა ფასო | 9 | 4 | 0 | 5 | 12:11 | 12 |
| კაბო ვერდე | 9 | 3 | 1 | 5 | 8:11 | 10 |
| უგანდა | 9 | 2 | 1 | 6 | 4:13 | 7 |

**III ჯგუფი**

**ლიბია 0:0 სუდანი**
**კოტ დივუარი 2:3 კამერუნი**
**ეგვიპტე 4:1 ბენინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:9 | 20 |
| კოტ დივუარი | 9 | 6 | 1 | 2 | 17:6 | 19 |
| ეგვიპტე | 9 | 5 | 1 | 3 | 25:14 | 16 |
| ლიბია | 9 | 3 | 3 | 3 | 8:9 | 12 |
| სუდანი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:19 | 6 |
| ბენინი | 9 | 0 | 2 | 7 | 8:23 | 2 |

**IV ჯგუფი**

**ზიმბაბვე 3:1 რუანდა**
**ანგოლა 3:0 გაბონი**
**ალჟირი — ნიგერია**

*გუშინ გვიან დამთავრდა (იხ. მე-15 გვერდი)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანგოლა | 9 | 5 | 3 | 1 | 11:6 | 18 |
| ნიგერია | 8 | 4 | 3 | 1 | 11:4 | 15 |
| ზიმბაბვე | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 15 |
| გაბონი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | 9 |
| ალჟირი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:10 | 7 |
| რუანდა | 9 | 1 | 2 | 6 | 6:15 | 5 |

**V ჯგუფი**

**მაროკო 1:0 ბოტსვანა**
**კენია 0:2 ტუნისი**
**გვინეა 3:1 მალავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 9 | 6 | 2 | 1 | 23:7 | 20 |
| მაროკო | 9 | 5 | 4 | 0 | 15:5 | 19 |
| გვინეა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| კენია | 9 | 3 | 1 | 5 | 8:14 | 10 |
| ბოტსვანა | 9 | 3 | 0 | 6 | 9:16 | 9 |
| მალავი | 9 | 0 | 3 | 6 | 9:26 | 3 |

# ამხანაგური მატჩები

# გერმანია დაარბიეს

**სლოვაკეთი 2:0 გერმანია**

1:0, 2:0 კარჰანი (20, 38)

**სლოვაკეთი:** კონტოფალსკი, შკტრელი, ზაბავნიკი, კრატოჩვილი, ჰადი, ვალაჩოვიჩი (პეტრასი 46), კარჰანი (ბლინკა 67), ხოლოსკო (იაკუბკო 80), გრეშკო, მინტალი (კოზაკი 46), ვიტეკი (ბრეშკა 61)

**გერმანია:** ლემანი, ოვემაიელა (ჰინკელი 71), ვიორნსი (სინკიევიჩი 46), მერტესაკერი, ჰიტცლშპერგერი (მ. იანსენი 46), დაისლერი, ერნსტი (შვაინგშტაიგერი 46), ბ. შნაიდერი (კურანი 82), ბალაკი, ასამოა (პოდოლსკი 46), კლოზე

მსაჯი: ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია)





AFP

იურგენ კლინსმანი და მისი ფეხბურთელები შაბათს უძლურნი იყვნენ

**გერმანიის** ნაკრებმა კიდევ ერთი სირცხვილი ჭამა. მართალია, ალემანებმა ამხანაგური მატჩი და ისიც საკმაოდ ძლიერ სლოვაკებთან დათმეს, მაგრამ მათი უსუსური თამაშით ყველა უკმაყოფილო დარჩა. ბუნდესნაკრებმა უამრავი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით დაცვაში და არც წინა ფრონტზე ბრწყინავდა. ასე რომ, შეხვედრის საბოლოო შედეგი სავსებით ლოგიკურია.

მართალია, პირველი საგოლე მომენტი იურგენ კლინსმანის შეგირდებს ჰქონდათ, მაგრამ მიროსლავ კლოზემ ვერ ივარგა. სამაგიეროდ, მის სლოვაკ სეხნიას კარჰანს არაფერი შეშლია და ჯერ პენალტი აქცია გოლად, შემდეგ კი დუბლიც გაიფორმა. შეგახსენებთ, რომ კარჰანი „ვოლფსბურგის“ წევრია და გერმანულ ფეხბურთს ხუთი თითივით იცნობს. იგივე ითქმის სლოვაკეთის ნაკრების მოთამაშეთა დიდ ნაწილზე, რომლებიც ბუნდესლიგაში ბურთაობენ.

მეორე ნახევარში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. სლოვაკები თავს აღარ იკლავდნენ, ალემანებმა კი თამაში შედარებით დაალაგეს, მაგრამ ეს ერთი ბურთის გასატანადაც არ ეყოთ.

„გერმანელებმა დაცვაში მართლაც ცუდად იბურთავეს, მათ უპატიებელი შეცდომები დაუშვეს. შესაძლოა, სათანადოდ არ შეგვაფასეს და იმიტომ“ — განაცხადა მატჩის გმირმა მიროსლავ კარჰანმა.

იურგენ კლინსმანი: იმედგაცრუებული ვარ ჩვენი თამაშით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ძალიან ბევრი სულელური შეცდომა დავუშვით“.

ბოლოს კი ვთქვით, რომ მატჩის შემდგომ გაბრაზებულმა გერმანელმა ქომაგებმა არეულობის მოწყობა სცადეს და რამდენიმე მათგანი ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა კიდეც. ექვსმა გულშემატკივარმა კი საავადმყოფოშიც ამოყო თავი.

**გიორგი ძაძამიძე**

# სერხიო, დაივიწყე ოთხიანები

*მადრიდის „რეალის" ახალწვეული სერხიო რამოსი სამეფო გუნდში ლეგენდარული ფერნანდო იეროსეული ოთხნომრიანი მაისურით ითამაშებს. ორიოდე დღის წინ გალაქტიკოსთა ყოფილ „რკინის კაპიტანს" ესპანური მედიის წარმომადგენლები გაესაუბრნენ და მან 19 წლის რამოსს „სანტიაგო ბერნაბეუს" კლუბში დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. გთავაზობთ ინტერვიუს ფერნანდო იეროსთან*




**— განახლებული „რეალი" საერთო ყურადღების ცენტრშია. მადრიდელი გრანდის ბოლო სატრანსფერო აკორდი სევილიიდან სერხიო რამოსის ჩამოყვანა გახლდათ...**

— ეს „რეალისთვის" შესანიშნავი შენაძენია. რამოსი ახალგაზრდა, საინტერესო მოთამაშეა, რომელსაც თავისი ოსტატობის დასამტკიცებლად დრო ბევრი აქვს. თუ მის მონაცემებს, ახალგაზრდობასა და გამარჯვებისადმი სწრაფვას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება — რამოსს დიდი მომავალი მოელის. სერხიომ უკვე აქედან უნდა გადაწყვიტოს, „რეალში" და საერთოდ მსოფლიოს ფეხბურთში რა როლს შეასრულებს. ამ ბიჭს თუ ბედმაც ხელი შეუწყო, ბრწყინვალე კარიერა ექნება.

**— სერხიო 19 წლისა პრიმერადივიზიონის ვარსკვლავი გახდა. აქამდე მას მარტო ერთი რამ აკლდა — „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალის" მაისურით თამაში...**

— კარგია, რომ „რეალის" ახალ მცველს მიუხედავად ასაკისა, პრიმერადივიზიონში ბურთაობის გამოცდილება აქვს. იგი „სევილიაში", სახელგანთქმულ კლუბში გამოდიოდა და თანაქალაქელ „ბეტისთან" ჩატარებული რამდენიმე დერბის მერე მშვენივრად იცის, მინდორზე დაძაბული ომი რასაც ნიშნავს. და მაინც, „ბერნაბეუზე" სერხიო სხვანაირ პრესინგს ნახავს — „რეალის" ისტორია და სიდიადე ფეხბურთელებისგან მუდმივ მობილიზებას მოითხოვს. რამოსს ვურჩევდი, „სამეფო გუნდში" წარმატების მისაღწევად ისევ ისე ითამაშოს, როგორც „სევილიაში" თამაშობდა. საერთოდ კი ფეხბურთი მარტო იმაზე არაა დამოკიდებული, მოედანზე ვისი მაისურით გამოდიხარ. აქ მთავარი შრომისმოყვარეობა და ნიჭია, რაც რამოსს ნამდვილად უხვად აქვს.

**— მისი მადრიდში მოსვლა „რეალში" თქვენს დებიუტს ხომ არ გაგონებთ? რამოსი ისეთივე ახალგაზრდაა და პრიმერადივიზონშიც „რეალამდე" მხოლოდ ერთი წელი თამაშობდა... თან იგი კარიერას აგრძელებს გუნდში, რომელსაც ბევრი ჯილდოები აქვს მოგებული...**

— შეიძლება ასეც იყოს. სერხიო ახალ კლუბში თავიდან მორიდებულად თუ იქნება, უმჯობესია. მან ყველა და ყველაფერი უნდა დააფასოს, ოღონდ წარმატებისადმი სწრაფვაც არ უნდა დაივიწყოს. ახლა რამოსის მომავალი მასზევეა დამოკიდებული და „რეალის" თუ პირადი გამარჯვებებისთვის უშელავათოდ უნდა იშრომოს. დღეს იგი ეიფორიაშია და სიტუაციის ბოლომდე აღქმა უჭირს, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ სერიოზულ გუნდში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო და საპასუხისმგებლო პოზიცია ჩააბარეს.

**— ამ ასაკში შეიძლება კი საერთოდ, მთელი სიგრძე-სიგანით გააცნობიერო, რომ არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალმა" მიგიწვია?**

— გეთანხმებით, ეს ცოტა ძნელია. თავიდან თვითონ უნდა შეიგნო, რომ ეს სიმართლეა და „რეალის" მაისურით მოედანზე ოფიციალურად გამოსვლის ნება მოგცეს. გულახდილად გეტყვით, პირველად ჩემი „რეალში" ჩარიცხვის ამბავი ტყუილი მეგონა — ბოლოს და ბოლოს, სულ ორი წელი იყო, რაც პრიმერადივიზიონში ვთამაშობდი. ვფიქრობდი, რომ ილუზიებს არ უნდა ავყოლოდი, თუმცა როცა დავრწმუნდი, რაღაც საოცარმა გრძნობამ შემიპყრო... მე, ყველასთვის უცნობი ფერნანდო იერო, მსოფლიოს საუკეთესო გუნდში ვიწყებდი თამაშს.

**— ყოფილი სევილიელი უკანახაზელი „ბერნაბეუზე" 4 ნომრით იბურთავებს. ამ მაისურით კი მადრიდულ გრანდში დიდებული ოსტატები თამაშობდნენ — მუნიოსი, დელ ბოსკე, პირი, იერო... ან იქნებ წარსულის ვარსკვლავებთან შედარებას მოვერიდოთ?**

— დიახ, რადგან „რეალის" ისტორიით სერხიოს მეტისმეტად დატვირთვა შეცდომა იქნება. პირიქით, მან „სამეფო გუნდის" ძველი ლეგენდები როგორმე უნდა „დაივიწყოს". თავად განსაჯეთ, სასწორის ერთ პინაზე „რეალი", მეორეზე კი ოდენ 19 წლის ახალგაზრდა მცველი... მას უკვე მიხედვა კი არა, ბრძოლა და კლუბში ადგილის დამკვიდრება სჭირდება. და კიდევ: თუ კარიერის უიღბლოდ დასრულება არ სურს, მასში გადახდილ თანხაზე, გულშემატკივართა მოლოდინსა და „რეალის" ოთხიანის წინა მფლობელებზე ლაპარაკს არანაირი ყურადღება არ [illegible] მიაქციოს. დიდ ჯილდოებს ფსიქოლოგიურად ძლიერი [illegible] იგებენ.



**— კიდევ ერთ რეალელ ახალწვეულზე, რობინიოზეც ვისაუბროთ. „კადისთან" მატჩის მერე ყველას პირზე მადრიდელთა „ახალი პელე" აკერია...**

— საოცარია, 20 წუთში იმდენის შეძლება, რაც რობინიომ გააკეთა. ბრაზილიელს გადასარევი დებიუტი ჰქონდა. ცხადია, ყველა ფეხბურთელს უნდა, მოედანზე 90 წუთი გაატაროს, მაგრამ რობინიომ დროის იმ შუალედში, რომელიც მოედანზე დაჰყო, სასწაული დაატრიალა და ინჩასებიც ახლა მასვან მორიგ ჯადოქრობებს ელოდებიან.

**— მსგავს დებიუტს ხომ არ გაიხსენებდით?**

— ბუტრაგენიო ან მორალესი მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ, თუმცა რობინიო მაინც საოცარი იყო. ოცი წუთის განმავლობაში ბრაზილიელმა გვაჩვენა, რომ ესპანურ ფეხბურთთან და „რეალთან" შეწყობას იოლად მოახერხებს.

**— მით უმეტეს, რომ ახალ გუნდში რობინიოს თანამემამულეების მთელი „სათვისტომო" შეეგება — მწვრთნელი ლუშემბურგო, რონალდო, რობერტო კარლოსი, ჟულიო ბაპტისტა...**

— რობინიო ამ ხალხს შესანიშნავად იცნობს. ლუშემბურგო მისი ყოფილი მასწავლებელია, დანარჩენებთან ერთად კი ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდა. ცხადია, გუნდთან შეთავსებაში ეს მხოლოდ დაეხმარება.

**— თქვენი აზრით, ბრაზილიელი ძირითადი შემადგენლობაში ვის შეავიწროვებს?**

— ამ კითხვაზე ვერაფერს გაპასუხებთ. ჯობს „რეალის" გამარჯვებაში ყველამ მონაწილეც იგრძნოს თავი... წინ 65 თუ 70 თამაშია და ძირითადი თერთმეტიდან ამოვარდნილ რეალელებზე თავიდანვე არ უნდა ვილაპარაკოთ.

**— წლეულს „ბერნაბეუს" ინჩადა საყვარელ გუნდს ჯილდოების ვერმოგებას არ აპატიებს. ეს ფეხბურთელებისთვის დამატებითი ტვირთი ხომ არ იქნება?**

— ხალხი „რეალისგან" ყველა სეზონში ფანტასტიკურ გამარჯვებებს მოითხოვს, ამიტომ მთავარია ბიჭებმა თავიანთ საქმეს მიხედონ და მოგებებებიც აღარ დააყოვნებს.

**ლადო ხომერიკი**

# დელასი: შემდეგი სადგური ლაციო

**საბერძნეთის** პრესაში სენსაციური ამბავი დაიწერა: „რომას" მცველი, ევროპის ჩემპიონი ტრაიანოს დელასი „ლაციოში" გადადის. საქმე ის არის, რომ დელასს სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა ჯალოროსისთან, რაც ქართულად ყვითელ-წითელს ნიშნავს, მაგრამ მისი ამოწურვის შემდეგ ახალი ხელშეკრულების გაფორმება არა და არ ხერხდებოდა. ამბობდნენ, რომ იგი პრემიერლიგაში უნდა დაბრუნებულიყო, კერძოდ „შეფილდ იუნაიტედში" სადაც 1997-1999 წლებში გამოდიოდა, მაგრამ უეცრად ჰაერი „რომას" მთავარი მოქიშპის, თანაქალაქელი „ლაციოს" სახელმა გაკვეთა. აქვე აღვნიშნოთ თუ გავიხსენოთ, რომ „ლაციო" დაცვის შუაში პორტუგალიელი მცველის ფერნანდო კოუტუს შემცვლელს ეძებს, ასე, რომ ყველაფერი ლოგიკურია.



და თუ ყველაფერი როგორც ვთქვით ისე მოხდა, დელასი სინიშა მიხაილოვიჩის, ანჯელო პერუცისა და რობერტო მუცის კამპანიაში ჩაეწერება. ეს ის ხალხია, რომელთაც ორივე რომაული გუნდის ფორმა მოურგია.

**პაპუნა ძიდია**

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

**V ტური**

**აშშ 2:0 მექსიკა**

1:0 ლიუისი (54), 2:0 ბისლი (58)

**ტრინიდადი 3:2 გვატემალა**

**პანამა 1:3 კოსტა რიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 6 | 0 | 1 | 14:3 | 18 |
| მექსიკა | 7 | 5 | 1 | 1 | 11:5 | 16 |
| კოსტა რიკა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | 10 |
| გვატემალა | 7 | 2 | 1 | 4 | 11:12 | 7 |
| ტრინიდადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | 7 |
| პანამა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | 2 |

*აშშ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე*

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

**პლეი ოფი. I მატჩი**

**უზბეკეთი 1:0 ბაჰრეინი**

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ოკეანეთი

**პლეი ოფი. I მატჩი**

**ავსტრალია 7:0 სოლომონის კ-ბი**

1:0 კულინა (21), 2:0, 3:0 ვიდუკა (35, 43), 4:0 ჩეპილი (57), 5:0 ჩიპერფილდი (64), 6:0 ტომპსონი (69), 7:0 ემერტონი (89)

 გაძევება: კულიფა (53, სოლომონის კუნძულები)

### ამხანაგური მატჩი

**ესპანეთი 2:1 კანადა**

1:0 ტამუდო (6), 2:0 მორიენტესი (69), 2:1 გრანდე (73)


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 48 | ალდერშოტი-ქროული | 1.90 | 3.50 | 3.30 | 1.23 | 1.20 | 1.69 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 152 | ბოლონია-პესკარა | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 1.21 | 2.18 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:00 | 183 | ბეტისი-ოსასუნა | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 20:00 | 184 | ხეტაფე-ბილბაო | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 185 | დეპორტივო-ატლეტიკო | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 20:00 | 186 | მალაგა-ესპანიოლი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 20:00 | 187 | რეალი-სელტა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:00 | 188 | რასინგი-კადისი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 20:00 | 190 | სოსიედადი-ალავესი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 20:00 | 190 | ვილიარეალი-სევილია | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 20:00 | 191 | სარაგოსა-ვალენსია | 2.65 | 3.00 | 2.60 | 1.40 | 1.31 | 1.39 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 253 | ალმერე-ვეენდამი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 367 | მოსი-ფოლო | 1.45 | 4.00 | 5.60 | 1.06 | 1.15 | 2.33 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 383 | ატვიდაბერგი-ფალკენბერგი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 384 | გაის-ვესტეროსი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.13 | 2.54 |
| 21:05 | 385 | იორებრო-იოსტერსი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | [illegible] |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 499 | ყაზახეთი-საბერძნეთი | 15.00 | 7.50 | 1.10 | 5.00 | 1.02 | [illegible] |
| 19:00 | 500 | რუსეთი-პორტუგალია | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:30 | 501 | ჩეხეთი-სომხეთი | 1.04 | 8.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.77 |
| 20:00 | 502 | ფინეთი-მაკედონია | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 20:00 | 503 | ლატვია-სლოვაკეთი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 20:00 | 504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 20:00 | 505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 20:15 | 506 | უკრაინა-თურქეთი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 20:45 | 507 | მალტა-ხორვატია | 18.00 | 8.00 | 1.05 | 5.53 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 508 | ლიტვა-ბოსნია | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:00 | 509 | ბელარუსი-იტალია | 6.50 | 3.30 | 1.50 | 2.18 | 1.21 | 1.03 |
| 21:00 | 510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.65 |
| 21:00 | 511 | ფარერები-ისრაელი | 12.00 | 6.00 | 1.15 | 4.00 | 1.04 | [illegible] |
| 21:30 | 512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | [illegible] | 2.17 |
| 22:15 | 514 | კვიპროსი-შვეიცარია | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 22:15 | 515 | მოლდოვა-სლოვენია | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:30 | 516 | პოლონეთი-უელსი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 22:30 | 517 | ჰოლანდია-ანდორა | 1.01 | 11.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.63 |
| 22:30 | 518 | ბელგია-სან მარინო | 1.02 | 9.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 7.15 |
| 22:45 | 519 | უნგრეთი-შვედეთი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:45 | 520 | ირლანდია-საფრანგეთი | 3.30 | 3.10 | 2.05 | 1.59 | 1.26 | 1.23 |
| 22:45 | 521 | ჩრდ. ირლანდია-ინგლისი | 15.00 | 5.00 | 1.15 | 3.75 | 1.00 | [illegible] |
| 23:45 | 522 | ესპანეთი-სერბია | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.10 | 2.25 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 523 | გერმანია-სამხრეთ აფრიკა | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### [illegible] (U-21)

UNDER-21 Championship

**I ჯგუფი**

სომხეთი 1:3 ჰოლანდია
რუმინეთი 0:0 ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:5 | 17 |
| რუმინეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:8 | 16 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 15:3 | 15 |
| მაკედონია | 8 | 2 | 3 | 3 | 9:12 | 9 |
| სომხეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 2:19 | 5 |
| ფინეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |

**II ჯგუფი**

ალბანეთი 3:1 ყაზახეთი
თურქეთი 3:2 დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 9 | 7 | 1 | 1 | 26:10 | 22 |
| უკრაინა | 10 | 6 | 1 | 3 | 17:7 | 19 |
| თურქეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:8 | 17 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:6 | 14 |
| საქართველო | 9 | 3 | 2 | 4 | 7:17 | 11 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:21 | 8 |
| ყაზახეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 5:16 | 3 |

**III ჯგუფი**

პორტუგალია 4:0 ლუქსემბურგი
ესტონეთი 1:3 ლატვია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 8 | 8 | 0 | 0 | 25:3 | 24 |
| რუსეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 21:4 | 16 |
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:8 | 12 |
| ლატვია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 | 11 |
| ესტონეთი | 8 | 0 | 2 | 6 | 2:21 | 2 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | 1 |

**IV ჯგუფი**

შვეიცარია 0:0 ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 15 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 8:10 | 4 |
| კვიპროსი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:9 | 0 |

**V ჯგუფი**

შოტლანდია 2:2 იტალია
სლოვენია 2:2 ნორვეგია
მოლდოვა 1:0 ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 5 | 1 | 1 | 12:4 | 16 |
| ნორვეგია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| ბელარუსი | 7 | 3 | 0 | 4 | 14:13 | 9 |
| სლოვენია | 7 | 2 | 3 | 2 | 7:11 | 9 |
| მოლდოვა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| შოტლანდია | 7 | 0 | 4 | 3 | 5:10 | 4 |

**VI ჯგუფი**

პოლონეთი 2:2 ავსტრია
უელსი 0:4 ინგლისი
გერმანია 2:0 აზერბაიჯანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 17 |
| ინგლისი | 7 | 5 | 2 | 0 | 15:3 | 17 |
| პოლონეთი | 8 | 2 | 4 | 2 | 14:12 | 10 |
| ავსტრია | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| უელსი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:14 | 7 |
| აზერბაიჯანი | 8 | 0 | 2 | 6 | 1:14 | 2 |

**VII ჯგუფი**

ბოსნია 1:1 ბელგია
სერბეთი 3:2 ლიტვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 22:8 | 16 |
| ბელგია | 7 | 4 | 3 | 0 | 17:5 | 15 |
| ესპანეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 25:6 | 14 |
| ბოსნია | 7 | 2 | 1 | 4 | 11:13 | 7 |
| ლიტვა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 2:40 | 0 |

**VIII ჯგუფი**

ისლანდია 1:2 ხორვატია
შვედეთი 2:0 ბულგარეთი
უნგრეთი 2:0 მალტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 6 | 0 | 1 | 10:4 | 18 |
| შვედეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:7 | 15 |
| უნგრეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 8:3 | 15 |
| ისლანდია | 8 | 2 | 1 | 5 | 8:9 | 7 |
| ბულგარეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 6:11 | 6 |
| მალტა | 8 | 1 | 1 | 6 | 2:14 | 4 |

### იტალია

**სერია B. II ტური**

**ატალანტა 3:2 ვერონა**
0:1 ადაილტონი (38პ), 1:1 სონჩინი (41), 2:1 ბერნანდინი (45), 2:2 სფორცინი (77), 3:2 ბელინი (80)

**კატანია 2:1 ბრეშა**
1:0 ზერბი (45), 2:0 კორი (65), 2:1 ბრუნო (65)

**აველინო 0:1 ტრიესტინა**
0:1 გოდეასი (70)

**კრემონეზე 2:0 კატანძარო**
1:0 პრისკანდარო (48), 2:0 კარპარელი (90)

**კროტონე 4:0 პიაჩენცა**
1:0 კონკო (22), 2:0 გალარდო (44), 3:0 ბორგეტი (63), 4:0 კონკო (70)

**მანტოვა 1:0 არეცო**
1:0 გრაციანი (45)

**რიმინი 1:1 მოდენა**
1:0 მოტა (70), 1:1 ბუჩი (87პ)

**ტერნანა 1:0 ალბინოლეფე**
1:0 გალასო (60)

**ვიჩენცა 1:0 ჩეზენა**
1:0 მარტინელი (44)

**ტორინო — ბარი** გადაიდო

**ბოლონია — პესკარა**
დღეს გაიმართება

**სერია C1/A. II ტური**

ფერმანა — პრო პატრია 0:2; ლუმეცანე — სან მარინო 3:2; ნოვარა — ჩიტადელა 1:0; პადოვა — ჯულიანოვა 1:1; პავია — მონცა 0:0; პიციგეტონე — პრო სესტო 1:0; რავენა — ჯენოა 1:3; ტერამო — სამბენედეტეზე 1:4

**სერია C1/B. II ტური**

ფოჯა — სანჯოვანეზე 0:2; ჯელა — ლუკეზე 0:0; გროსეტო — კიეტი 1:1; პიზა — ფროსინონე 2:2; ნაპოლი — მასეზე 1:0; მარტინა — იუვე სტაბია 0:0; მანფრედონია — აკირეალე 3:1; ლანჩანო — პისტოიეზე 0:0

### გერმანია

**ჩრდ. რეგიონალლიგა**
**VII ტური**

ჰერტა (მ) — ესენი 1:0; ვუპერტალი — ზტ. პაული 1:1; ობერჰაუზენი — ჰამბურგი (მ) 0:4; მიუნსტერი — ვატენშტაიდი 0:4; ლიუბეკი — ერფურტი 2:1; ლევერკუზენი (მ) — კიოლნი (მ) 4:1; კარლ ცაისი — კილი 0:2; ქემნიცი — ოსნაბრიუკი 2:1

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**V ტური**

ბაირუთი — ლაუტერნი (მ) 1:2; დარმშტადტი — ბაიერნი (მ) 1:0; ელვერსბერგი — ვენი 0:2; ეშბორნი — კარლსრუე (მ) 0:1; კობლენცი — რეგენსბურგი 3:3

### დანია

**I დივიზიონი. VI ტური**

ლინგბი — ფრემადი 3:2; კოლდინგი — იოლსტიკე 1:0; ფრედერისია — ჰერფიოლგე 2:3; ნიკიობინგი — ბრაბრანდი 4:0; კიოგე — აკადემისკი 1:1; ჰელერუპი — სკიოლდე 1:1

### საბერძნეთი

**ნაციონალლიგა. I ტური**

ლევადიაკოსი 1:1 იონიკოსი

### ნორვეგია

**I დივიზიონი. XXII ტური**

ალტა — სტრომგოდსეტი 1:4; ბრინი — ჰოდი 0:1; ჰიონეფოსი — სოგნდალი 2:1; ლოფ ჰამი — კონგსვინგერი 1:0; პორს გრენლანდი — მანდალი 4:3; სანდეფიორდი — სკეიდი 1:0

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა. VIII ტური**

კრინსი — მეირინი 1:1; ბოლმი — ვინტერთური 1:3; კიასო — ლოზანა 2:0

### ინგლისი

**I ლიგა. VII ტური**

ჰარტლპული — იოვილი 0:1; ბრისტოლი — კოლჩესტერი 0:0; პორტ ვეილი — როტერჰემი 2:0; უოლსოლი — სუინდონი 1:0; ნოტინგემი — ბრენდფორდი 1:2

**II ლიგა. VII ტური**

როჩდეილი — ტორკი 4:1; ლეიტონი — ბრისტოლი 2:3

**კონფერენსლიგა. VI ტური**

მორიკომბი — ტემუორთი 0:0; ჰერეფორდი — ალტრინჰემი 0:0; დაგენემი — ექსეტერი 2:2; ბარტონი — სკარბონი 2:1; გრეივსენდი — საუთპორტი 2:1; სტივენეიჯი — ჰალიფაქსი 1:0; აკრინგტონი — უოკინი 2:1

### შვედეთი

**სუპერეტა. XXIII ტური**

მიალბი — ტრელებორგი 0:1; ლიუნგსკილე — დეგერფორსი 2:1; ბრომაპოიკარნა — ნორჩიოპინგი 2:1; ბოდენი — აიკი 5:1; ფრიოლუნდა — ვესბი 1:1

### აშშ

**მეიჯორლიგა. XXVI ტური**

ნიუ იორკი — კანზასი 2:2; დალასი — სან ხოსე 0:2; კოლორადო — ვაშინგტონი 1:0; სოლტ ლეიკი — ნიუ ინგლანდი 0:1; ჩივასი — კოლუმბუსი 0:3

### იაპონია

**ჯეილიგა. XXII ტური**

ჰიროსიმა — იჩიჰარა 1:1; ომია — ნიიგატა 1:4; ჩერეძო — კობე 2:1; კაშიმა — ურავა 2:2; კაშივა — ტოკიო 4:2; ოიტა — ივატა 1:2; შიმიცუ — კავასაკი 3:2; ვერდი — გამბა 0:1; იოკოჰამა — ნაგოია 2:2

## ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. D ჯგუფი

## ფინეთი 87:79 საქართველო

22:24 26:14 18:25 21:16

# ქართული კალათბურთი მერთ ადგილზეა

## შემონდი ფინურ აბლაბუდაში გაება

**საქართველო** ფინეთში დამარცხდა, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის პაწაწინა შანსი მაინც შეინარჩუნა: ხუთკაცეულმა ზეგ თბილისში მაკედონია უნდა დაამარცხონ და მერე ეს უკანასკნელი შინაც უნდა ჩაფლავდეს ფინეთთან. თან ეს ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, რომ ქართველებმა მეტოქეებზე უკეთესი ქულათა ბალანსი შეიქმნან.

ძალიან გვინდა, ყველაფერი ისე იყოს, როგორც გავთვალეთ, მაგრამ მოდით, ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ბრმად ნუ დავიჯერებთ ამ ოცნების ახდენას. ქართველებს საკუთარი ბედის გასაღები უკვე ეჭირათ ხელში და ის შაბათს ფინეთში დაკარგეს, ჩვენი მეტოქეები კი ისეთი ბრიყვები არ გამოდგებიან, რომ ერთმანეთთან ბრძოლაში საქართველო ჯგუფიდან გაეპარონ.

თუ არ იცით, რა ელის საქართველოს ნაკრებს ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაში, გავიმეორებთ. ჩავრჩებით B დივიზიონში და ზედა ეშელონებში — იქ, სადაც საუკეთესო ევროპული ნაკრებები ირიცხებიან — აღზევებისთვის კიდევ ორი წელი მოგვიწევს ბრძოლა. მერე კიდე ორი წელი უნდა ვიბრძოლოთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ. სწორედ იქ უნდა მივაღწიოთ წარმატებას, ოლიმპიადის საგზური რომ მივიღოთ.

მკითხველი ეგებ აღშფოთდეს კიდეც: ჯგუფში ჩარჩენას არაფერი გვიკლია და ეს ოლიმპიადის საგზურებზე ლაპარაკობსო. ამაზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ და, რეალობიდან გამომდინარე, ალბათ კარგა ხანს არც გაგვიჩნდებოდა ოლიმპიური პრეტენზია, რომ არა თავად საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. ქართული კალათბურთის მმართველი ორგანო თავიდანვე აცხადებდა, რომ საბოლოო მიზანი 2008 წლის ოლიმპიადაზე თამაშია და ამ ოცნების განხორციელების მაშინაც სჯეროდა, როცა შარშან ნაკრების თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი წარუმატებლობის გამო დაითხოვა.

საერთოდ, ბოლო წლებში ისეთი ილუზია იყო შექმნილი, რომ მოთამაშეების პრობლემა არ არსებობდა და ყველა წარუმატებლობა არაკომპეტენტური მწვრთნელის ბრალი იყო. შარშან მაკედონიაში წაგება დრაჟენ ბრაიკოვიჩს დაბრალდა და საინტერესოა, ფინეთში ჩაფლავებაც გორდონ ჰერბერტს მიეწერება?

წაგება, რა თქმა უნდა, ყველას ბრალია, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ მწვრთნელს ვერ შეაწმენდ ხელს. იმაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ ჰერბერტი თანამედროვე კალათბურთის მცოდნე მწვრთნელია და ქართველებსაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში სწორ რჩევა-დარიგებებს აძლევდა. თუმც ფინურ ფიცარნაგზე გასულ ხუთკაცეულს გამართული კალათბურთის თამაშისა უმეტესად არაფერი ეტყობოდათ — 8:0 რომ დაწინაურდები და ერთ მეოთხედში ერთი მოთამაშის 5 სამქულიანით ვითარებას გამოასწორებ, მხოლოდ ეს არაფერია.

მეორეს მხრივ, არც შემონდ უილიამსის ძლევამოსილებაში ეპარება ეჭვი ვინმეს და არც ფაჩულია-ბოისას ნიჭიერებაში, მაგრამ ესენი რომ გაცილებით უსახელო ფინელებთან ჩაფლავდნენ, შაბათს ყველამ ნახა. ყველას ისევ ნიკა ცქიტიშვილმა აჯობა, ვისაც ნბა-ში წარუმატებელი თამაშის გამო არაერთი ჩვენიანი ალმაცერად უყურებს. ცქიტიშვილის პირადი დამსახურება იყო, პირველი ტაიმის შემდეგ 10 ქულით ჩამორჩენილი საქართველო რომ მესამე მეოთხედის მიწურულს 60:56 დაწინაურდა. „ცქიტოს" სასწაულები არ გაუკეთებია, დაცვაში იდგა მედგრად და 5 სამქულიანი ჩააგდო ერთ მეოთხედში. სამწუხაროდ, მას მხარი ვერ აუბეს უკანახაზელებმა, მარტო ზაზა ფაჩულიას შეუპოვრობა კი შველა ვერ აღმოჩნდა ჰერბერტის გუნდისთვის.

მაშ, რატომ წააგო საქართველომ, თუ მწვრთნელიც კომპეტენტურია და ძლიერი მოთამაშეებიც საკმარისად გვყავს? ვფიქრობთ, იმიტომ, რომ ქართველებმა არ იცოდნენ გუნდური კალათბურთის თამაში. ერთი თვე ნაკრები შეკრებაზე კი იყო, მაგრამ შემადგენლობა ბოლო დღემდე ბოლომდე ვერ შეკრიბა და, სიმართლე ითქვას, ეს დროც ზღვაში წვეთია საიმისოდ, რომ დებიუტანტმა მწვრთნელმა გუნდი შეკრას და შეათამაშოს.

ადრე ამბობდნენ, ერთი მაგარი გამთამაშებელი დაგვხატავდაო და ფედერაციამ ნბა-ში გამობრძმედილი ამერიკელი უკანახაზელი მოუვლინა ნაკრებს. მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ საქმე მოთამაშის ნატურალიზების გზით შემატება კი არა, მისი შეკრებაზე დროულად ჩამოყვანაა. ევროპული საზომით ძალიან მაგარი გამთამაშებელია შემონდ უილიამსი, მაგრამ ფინელებთან მისი გარიყულობა თვალში ეკალივით გვესობოდა. დრიბლინგი და კაცის მოტყუება ქართველებს ფინელებთან არ სჭირდებოდათ, ხოლო რაც უნდოდათ — სწრაფი შეტევა — იმის უზრუნველყოფა ვერაფრით ვერ მოახერხა შემონდ უილიამსმა.

სისწრაფე იქით იყოს და უილიამსი ვერც პასს იძლეოდა ისეთს, ეს რა ვნახეო, რომ გაფიქრებინებდა. მას ყველა ეს თვისება საკმარისად აქვს, პასიც იცის და სისწრაფეც არ აკლია, მაგრამ ხან გვერდში მდგომნი აღალატებდნენ და ხანაც თვითონ იბლანდებოდა თავისივე გადამლაშებით. მოქსოვილ აბლაბუდაში.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა ფინეთში უნიათოდ ითამაშა და ახლა ამ ერთი მატჩის გამო რამდენიმე წელი კიდევ უნდა ტკეპნოს ერთი ადგილი. თუმც ყველაფრის მიუხედავად, ოპტიმისტურადაა განწყობილი კალათბურთის ფედერაცია და ჯგუფიდან გასასვლელად ბოლომდე ბრძოლას აპირებს. მაგას რა თქმა უნდა, რომ სანამ შანსია, ხმალი არ უნდა დაუშვა?! არ უნდა და ზეგ მაკედონიის გათელვას ეცდებიან ხუთკაცეულნი...

**ირაკლი პერტაია**



შემონდ უილიამსმა ფინეთთან თავი ვერ გამოიჩინა



ნიკა ცქიტიშვილმა ერთ მეოთხედში 5 სამქულიანი ჩააგდო

### საქართველოს ნაკრების განცხადება

ფინეთთან წაგების შემდეგ საქართველოს რჩება A დივიზიონში გადასვლის თეორიული შანსი. ამისთვის მაკედონიის შინ მინიმუმ 9 ქულით დამარცხებაა საჭირო. ნაკრები აპირებს, ბოლომდე იბრძოლოს ჯგუფიდან გასასვლელად. გორდონ ჰერბერტის გუნდი თბილისში დღეს გამთენიისას ჩამოვა და თბილისის „დინამოს" ბაზაზე გააგრძელებს მზადებას.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 4 | 4 | 0 | 8 |
| ფინეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| საქართველო | 4 | 2 | 2 | 6 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 | 0 |



# რამაზ ნოზაძე მსოფლიოს გარეშე რჩება

**საქართველოს** ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთი ლიდერის, რამაზ ნოზაძის გარეშე გაემგზავრება. ოლიმპიური ვერცხლის და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი თბილისშია და წელის ტრავმას მკურნალობს, ნაკრები კი ჩემპიონატისწინა ბოლოსწინა შეკრებას ბორჯომში გადის.

„ნოზაძის ბუდაპეშტში წამოსვლა ფაქტობრივად გამორიცხულია — გვითხრა გუშინ ეროვნული ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ, როცა მსოფლიოზე წამსვლელი შემადგენლობის გასარკვევად შევეხმიანეთ — ზაფხულის დასაწყისში რამაზი ავარიაში მოყვა და წელი დაიშავა. პირველადი მონაცემებით, თითქოს საგანგაშო არაფერი იყო. მკურნალობის შემდეგ ვარჯიშიც განაახლა და ამას წინათ პოლონეთში საერთაშორისო ტურნირზეც იჭიდავა, მაგრამ ტკივილმა ისევ შეაწუხა და, როგორც გაირკვა, ისევ სამკურნალოა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე კი რაღა რჩება. ჩვენი და მისი უდიდესი სურვილის მიუხედავად, 96 კილოგრამში შემცვლელის მოძებნა მოგვიწევს".

მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობის შანსზე ვერც თავად რამაზ ნოზაძემ გვითხრა რამე დამაიმედებელი:

— მოვასწრებ თუ ვერა? ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ ჩაივლის სამკურნალო კურსი.

— **რამდენხნიანია ეს კურსი?**

— ათ დღეში ვამთავრებ, მერე კი ექიმი იტყვის, შეიძლება თუ არა სავარჯიშო პროცესის განახლება.



რამაზ ნოზაძეს წელი ღალატობს

— **ამჟამად წელის ტკივილი ისევ გაწუხებს?**

— ჩვეულებრივად ვმოძრაობ, მაგრამ როგორც კი მკვეთრ მოძრაობას გავაკეთებ, საშინელ ტკივილს ვგრძნობ. ამიტომ ყველანაირ დატვირთვას და გადაღლას ვერიდები. ეგაა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში დავდივარ პროცედურების ჩასატარებლად.

— **ახლახან პოლონეთის ტურნირზე იჭიდავე. ხომ არ ჯობდა მაშინ დაგესვენა?**

— ვერ ვიტყვი, რომ პოლონეთში ჭიდაობამ ჩემი მდგომარეობა გაართულა. ტკივილს მაშინაც ვგრძნობდი, მაგრამ წინ მსოფლიოს ჩემპიონატი მელოდა და მაინტერესებდა, ჭიდაობას შევძლებდი თუ ვერა. სამწუხაროდ, სპეციალური სამკურნალო კურსი თავიდან მაინც ვერ ავიცილე. ვწუხვარ, რომ ასეთ დროს ამ დღეში ვარ.

ბოლოს ისევ ნაკრების თავკაცის კომენტარს მივუბრუნდებით.

ბეგი დარჩიას ნოზაძის სავარაუდო შემცვლელზეც დავეკითხეთ, მაგრამ კონკრეტული პასუხისგან თავი შეიკავა. ბუდაპეშტამდე წინ კიდევ ერთი შეკრებაა და საბოლოო შემადგენლობას მაშინ გამოვაცხადებთო, კონკურენტთა შორის კი ერთ-ერთი მთავარი 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძეა. ამ წონაში ბუდაპეშტის საგზური ბადრი ხასაიამ უკვე ფაქტობრივად გაინაღდა, მუხრანი კი ალბათ ერთი წონით ზემოთ აინაცვლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

3 სექტემბერი. ოკლენდი
**ახ. ზელანდია 34:24 ავსტრალია**

**ახალი ზელანდია:** მილს მულიანა, დაგ ჰაულეტი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ მაუგერი, ჯო როკოკოკო; ლეონ მაკდონალდი, პირი უიიპუ; როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, სიონე ლაუაკი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰაიმანი, კევენ მეალამუ, ტონი ვუდკოკი
*სათადარიგოები: დარენ უიტკომბი, გრეგ სომერვილი, ჯეიმს რაიანი, მარტი ჰოლა, კევინ სენიო, ლიუკ მაკალისტერი, კონრად სმიტი*
*4 ლელო: მაკქოუ, ჰაულეტი (3); 1 გარდასახვა: მაკდონალდი; 4 საჯარიმო: მაკდონალდი, მაკალისტერი (3)*

**ავსტრალია:** დრიუ მიტჩელი, მარკ ჯერარდი, კლაიდ რეთბოუნი, მორგან ტურინუი, ლოუთ ტუქირი; მეტ როჯერსი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); ჯორჯ სმიტი, ფილ ვუ, როკი ელსომი, ნათან შარპი, მარკ ჩიშოლმი, ალ ბაქსტერი, ბრენდან ქენონი, ბილ იანგი
*სათადარიგოები: ადამ ფრაიერი, მეტ დანინგი, ალექს კანაარი, ჯონ რო, კრის ვაითეკერი, ლაჰლან მაკქეი, ლოიდ იოჰანსონი*
*4 ლელო: ჩიშოლმი, ჯერარდი, ტუქირი, იოჰანსონი; 2 გარდასახვა: როჯერსი.*

# სამი ერი 2005

# შავებმა ვოლაბებს პრესტიჟიც არ დაანებეს



მატჩის გმირი დაგ ჰაულეტი თავის პირველ ლელოს იტანს



ტანა უმაგა — ტრიუმფატორი



ჯორჯ გრეგანი

**შაბათს** ოკლენდში, ედენ პარკის სტადიონზე, სამი ერის ბოლო, მეექვსე მატჩი გაიმართა და ისეთი თამაში გაჩაღდა, რაგბის მატიანეს კარგა ხანს რომ არ დაავიწყდება.

საჩემპიონოდ შემართული ახალი ზელანდია პრესტიჟის გადასარჩენად მებრძოლ ავსტრალიის ნაკრებს დაუხვდა და ფიცხელ ბრძოლაში საჯარიმო დარტყმების წყალობით აჯობა.

გუნდებმა ერთმანეთს ოთხ-ოთხი ლელო გაუტანეს. „შავებმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში ბადალი არ ჰყავთ, „ვოლაბებმა" კი, მიუხედავად მრავალი ფაქტორის გამო ჩამხამებული სეზონისა, ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს მრისხანე მაორებს, როგორც ეს მათ მქუხარე სარაგბო ისტორიას შეეფერებოდა.

ბრწყინვალედ ითამაშეს ზელანდიელთა კაპიტანმა ტანა უმაგამ და ავსტრალიელთა ვეტერანმა ჯორჯ გრეგანმა. პირველი გუნდის დაცვის სული და გული იყო, მეორემ კი შეტევაში კარგი თამაშითა და გამოზომილი პასებით ძველი გრეგანი გაახსენა ქომაგს. ეს მატჩი მისთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ 114-ე კეპი მოიხვეჭა და ინგლისელი ჯეისონ ლეონარდის რეკორდი გაიმეორა.

მიუხედავად დიდებული თამაშისა, ავსტრალიელებმა ერთი მეტად უსიამოვნო ანტირეკორდი დაამყარეს — სამი ერის თასზე ოთხიდან ოთხი თამაში ისტორიაში პირველად წააგეს, სულ კი ეს მარცხი ზედიზედ მეხუთე ტესტ-წარუმატებლობა აღმოჩნდა. ასეთი რამ „ვოლაბებს" 1969 წლის შემდეგ არ შემთხვევიათ.

ახალზელანდიელთათვის ეს ტესტი ისტორიაში მეოთხასე გახლდათ. მატჩის დაწყების წინ ძველებური, ტრადიციული ჰაკა შეასრულეს და მას შემდეგ, რაც ინგლისელმა რეფერიმ, კრის უაითმა სასტვენს ჩაბერა, მეტოქეს ეკვეთნენ.

თამაშში ბურთი სტუმრებმა შეიყვანეს. „მაგრამ" შავებმა" ის მალევე მოიხელთეს და მარცხენა ფრთაზე პირველი შეტევა გაშალეს, თუმცა უშედეგოდ.

რამდენიმე წუთში ზელანდიელები ისევ მიაწყდნენ მეტოქეს, მოლში ალ ბაქსტერი დაჯარიმდა და ლეონ მაკდონალდმა მასპინძლები 3:0 დააწინაურა.

სამიოდ წუთში მასპინძლებმა პირველი ლელოც მიითვალეს. კრის ჯეკმა ავსტრალიელების აუტი მოიგო და „შავები" მარცხენა ფრთას მიაწვნენ. ტანა უმაგამ ბურთი მოიხელთა და რამდენიმე მეტოქეს შეეჭიდა. ესტაფეტა მილს მულიაინამ გააგრძელა და შეტევა მარჯვნივ გაიშალა. ბრძოლაში ბურთი რიჩი მაკქოუმ მოიპოვა, მარცხნივ გაიწია და ჩაივლის მოედანზე დაამიწა.

კიდევ სამი წუთი დასჭირდათ მაორებს, რომ მეორე ლელო გაეტანათ. ზელანდიელთა ცხრიანმა პირი უიიპუმ ბურთი დაგ ჰაულეტს დაუკიდა, რის შემდეგაც შეტევა მარცხენა ფრთაზე განვითარდა. ჯო როკოკომ ბურთი დაკარგა, თუმცა მომხვდურნი დაჯარიმდნენ და ახალზელანდიელებს შეტევის გაგრძელების საშუალება მიეცათ. ალი უილიამსმა ბურთი მარჯვნივ გადაკიდა. დაგ ჰაულეტმა დაიჭირა და ჩასათვლელად შეინავარდა. 13:0 ახალი ზელანდიის სასარგებლოდ.

პირველი ტაიმის დაწყებიდან ოცდაათიოდე წუთი თუ იქნებოდა გასული, რომ მასპინძლები უკვე 20:0-ს იგებდნენ, ლელო კვლავ დაგ ჰაულეტმა გაიტანა, თუმცა მის ჩასათვლელად მსაჯებს ტელეგამეორების ცქერა დასჭირდათ. მაკდონალდმა ამ მატჩში პირველად და უკანასკნელად მოახერხა გარდასახვის ზუსტად შესრულება.

დამხვდურთა გულშემატკივარს ხასიათი მარკ ჩიშოლმა წაუხდინა, ერთ-ერთი იშვიათი შეტევისას ავსტრალიელებმა მასპინძელთა ტერიტორიაზე აუტი მოიგეს, შეტევა განავითარეს და ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე შაათრიეს. ლელო ისევ ვიდეოჩანაწერის დახმარებით ჩაითვალა. 20:5 პირველ ტაიმში აღარ შეცვლილა.

რა ითქვა შესვენებაზე ამისთანა ავსტრალიელთა გასახდელში, ჩვენ კი არა იქაური ჟურნალისტებიც ვერ მოგახსენებენ, ფაქტი კი ერთია, ოზები მოედანზე ისეთი განწყობით დაბრუნდნენ, გეგონებოდათ, ახალზელანდიელების კი არა, ტანკების შეჩერებაც არ უნდა გაუჭირდეთო.

„ვოლაბებმა" მატჩის განახლებიდან სულ ცოტა ხანში შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს და დამსახურებული ლელო მიითვალეს.

ოზებმა აუტი მოიგეს. როკი ელსომმა ჯორჯ გრეგანს გადააწოდა პასი, მან კი როჯერსი მონახა, რომელმაც თავის მჩრივ ჯე[illegible] არ დაუგვიანა გადაცემა. ეს უკანასკნელი ჰაიმანს და [illegible] შეასწრო და ძელებთან დაამიწა. მეტ როჯერსის გარდასახვის შემდეგ ანგარიში 20:12 გახდა.

„შავებს" სხვაობის გაზრდა შეეძლოთ, თუმცა მათ ზეწოლას ავსტრალიელთა დაცვამ წარმატებით გაართვა თავი და მალე ოზებმა თავადვე გაიტანეს კიდევ ერთი ლელო.

ჩათვლის მოედანზე შეღწევა ამჯერად ლოუთ ტუქირიმ მოახერხა. როჯერსმა გარდასახა და მატჩის დასრულებამდე 33 წუთით ადრე ანგარიში 20:19 გახდა.

თითქოს ახლოს იყვნენ ოზები მატჩის ბედის საბოლოოდ შემოტრიალებასთან, თუმცა რამდენიმე საბედისწერო შეცდომის წყალობით ყველაფერი წყალში ჩაეყარათ.

შეცვლაზე შემოსულმა მეტ დანინგმა სრულიად უწყინარ ვითარებაში აარონ მაუგერის წინააღმდეგ ოფსაიდში და ზელანდიელთა მთავარდამრტყმელ ლეონ მაკდონალდის ნაცვლად მოედანზე გამოსულმა ლიუკ მაკალისტერმა საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

სამი წუთის შემდეგ მეტ დანინგი შერკინებაში დაჯარიმდა და მაკალისტერმა ამჯერადაც იმარჯვა. ცოტა ხანში ნათან შარპის უხეშობის გამო მაკალისტერს კიდევ ერთხელ მიეცა საჯარიმო დარტყმის შესრულების შანსი და არც ამჯერად ამ კანკალებია ფეხი.

29:19 — ანგარიში, რომელსაც „ვოლაბები" თითქოს საბოლოოდ უნდა გაეტეხა, მაინც მალე შეიცვალა.

მომხვდურებმა საჯარიმო დარტყმის წყალობით კარგი აუტი მოიგეს. გრეგანმა როჯერსს გადააწოდა, როჯერსმა — სმიტს. სმიტმა ბურთი ლოიდ იოჰანსონს მიაწოდა, რომელიც შეცვლაზე გახლდათ შემოსული და სანაკრებო დებიუტი ლელოთი აღნიშნა. მეტ როჯერსის გარდამსახველმა სხვაობა უფრო შეამცირა — 29:24 და — კიდევ 10 წუთი სათამაშოდ.

მიუხედავად ამისა, ავსტრალიელებმა მეტი ვეღარ შეიძლეს, სამაგიეროდ, მატჩის საუკეთესო მოთამაშემ დაგ ჰაულეტმა კიდევ ერთხელ დაამწუხრა სტუმრები და თავისი პირველი სატესტო ჰეთ თრიქი მიითვალა.

34:24 — ამ ანგარიშით გაიმარჯვეს ახალზელანდიელებმა მატჩში, რომელშიც წაგებას ალბათ არც ერთი გუნდი არ იმსახურებდა.

მატჩის შემდეგ SANZAR-ის წარმომადგენელმა ჯოკ ჰობსმა ტანა უმაგას სამი ერის თასი უბოძა, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის სარაგბო კავშირების პრეზიდენტებმა — ჯონ გრეჰემმა და პოლ მაკლინმა მას ბლედისლოუს თასიც ჩააბარეს.

დამსახურებული პატივი ჯორჯ გრეგანსაც ერგო. მასზე მაორთა ბელადმა ასეთი რამ თქვა: „მე იმის ნახევარსაც კი ვერ ვაკეთებ, რასაც ის".

ზელანდიამ სამ ერზე მეექვსედ იმარჯვა, ავსტრალიელთა რიგებში კი დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რათა წლევანდელი სირცხვილი კიდევ დიდხანს არ განმეორდეს.

**ლადო ფულუკიძე**

| | თ | მ | ფ | წ | შ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ახალი ზელანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 111:86 | 3 | 15 |
| 2 სამხრეთ აფრიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 93:82 | 1 | 13 |
| 3 ავსტრალიაკ | 4 | 0 | 0 | 4 | 72:108 | 3 | 3 |

FORMULA 1 WORLD

**ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთხუთმეტე ეტაპი**

# ალონსო რაიკონენს მოუგებლადაც უგებს




AFP მონტაჟი

ხუან-პაბლო მონტოიამ „მაკლარენით" მეორე დიდი პრიზი მოიგო

**იტალიის** დიდი პრიზის გათამაშება ყოველმხრივ გამორჩეული ეტაპია. 83 წლის წინათ მილანის მახლობლად აგებული „აუტოდრომო ნაციონალე" ევროპაში ყველაზე ძველი და იმავდროულად დღესაც ყველაზე ჩქაროსნული ტრასაა. მძღოლთა უსაფრთხოების მიზნით სიჩქარის დასანელებლად „მონცას" არაერთხელ შეეცვალა კონფიგურაცია, თუმც სწორედ იქაა დაფიქსირებული „სამეფო რბოლების" სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი.

ბრაზილიელმა ანტონიო პიცონიამ შარშანდელი რბოლისას სტარტ-ფინიშის უგრძესი სწორის ბოლოს თავისი „უილიამს BMW" 369,9 კმ/სთ სისწრაფით გააქროლა.

„ჯუნგლების ბიჭი" პიცონია გუშინაც გამოჩნდა „მონცაზე". ათი დღის წინ სწორედ იქ ტესტებისას ავარია შეემთხვა ნიკ ჰაიდფელდს. ინციდენტი თითქოს მძიმე არ ჩანდა და გერმანელი მძღოლიც პარასკევს მონცაში თავისუფალი პრაქტიკისას ტრასაზე კი გავიდა, მაგრამ ისეთმა თავის ტკივილმა შეაწუხა, რომ იძულებული გახდა, რბოლა გამოეტოვა.

ერთი სიტყვით, პიცონიამ „უილიამსში" ამჯერადაც გერმანელი პილოტი შეცვალა (შარშან რალფ შუმახერი) და გუშინაც პრესტიჟულ საქულე რვიანში აღმოჩნდა.

გუშინდელი ეტაპი საიუბილეო, მეასე გამოდგა რუბენს ბარიკელოსთვის „ფერარის" შემადგენლობაში. ამ მაჩვენებლით რუბინიო მერვე მძღოლი გახდა, რეკორდი კი მის თანაგუნდელ მიხაელ შუმახერს ეკუთვნის — 160 ეტაპი ერთი საჯინიბოს ერთგულებაში.

ბუქმეკერები რბოლის წინ ამჯერადაც ყველაზე მაღლა აფასებდნენ ბოლო ორი ეტაპის მომგებ მაკლარენელ კიმი რაიკონენის და არა ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოს შანსებს. მესამე ადგილზე მდგომ მიხაელ შუმახერსაც არა უშავს კოეფიციენტი ჰქონდა. მოკლედ, ლამის ყველას სჯეროდა, რომ ფერარელი შუმი „ფერარის" ტრასაზე გამარჯვებას თუ არა, პოდიუმს მაინც შესწვდებოდა. მით უმეტეს, რომ რბოლა არც ისე უკან, მეექვსე პოზიციიდან დაიწყო, მაგრამ შვიდგზის ჩემპიონი ამჯერადაც სამარცხვინოდ ჩაფლავდა, იმ მეექვსე ადგილის შენარჩუნებას ვინ ჩივის, საერთოდ უქულოდ დარჩა და გუშინ საბოლოოდ დაკარგა ტიტულის შენარჩუნების შანსი.



რაკი ყველაფერი თვლითაა, ჩვენც გავთვალოთ, ჩემპიონატის ფინიშამდე ოთხი რბოლაა, ანუ მაქსიმუმ 40 ქულა და შუმიმ ოთხივე დიდი პრიზი რომც მოიგოს, ჯამური 95 ქულით იქნებ ვიცეჩემპიონობასაც ველარ შეწვდეს. მოკლედ, ალონსოსთან საჩემპიონოდ შებრძოლების შანსი მხოლოდ კიმი რაიკონენს შერჩა.

ფინელმა „ყინულის კაცმა" შაბათს ბრწყინვალედ გაიქროლა საკვალიფიკაციო წრე და თითქოს პოულ-პოზიციაც დაიბევა, მაგრამ რაკი თავისუფალ პრაქტიკისას პრობლემების გამო „მერსედესის" ძრავის შეცვლა მოუხდა, წეს-დებულების თანახმად ათი სასტარტო პოზიციით უკან დახიეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეთერთმეტე ადგილიდან ბრძოლის დამწყებს გამარჯვების შანსი წაერთვა. და მაინც, კიმიმ, იმის გათვალისწინებითაც, რომ უკანა მარცხენა საბურავის შესაცვლელად დამატებით პიტსტოპზე მოუხდა შევლა, მერე კი რბოლის მიწურულს ტრასაზე ბოლიდი მოუსრიალდა, მაინც ჩინებულად ირბოლა, წინმავალ ტოიოტელ იარნო ტრულის დიდოსტატურად აუარა გვერდი და საბოლოო მეოთხე ადგილით საჩემპიონო ვარიანტი შეინარჩუნა.

რბოლა კი, ქება და ქება, თავიდანვე ხუან-პაბლო მონტოიასი იყო. კოლუმბიელმა სტარტზე შეინარჩუნა მეწინავეობა და სამასკილომეტრიან დისტანციაზე ერთხელაც არ მისცა მეტოქეებს დაწინაურების საშუალება.

გასაკვირი რბოლა გამოვიდა. პირველადაა, რომ ფინიშამდე არავინ გამოთიშულა და ბოლოადგილოსანი ინდოელი ნარაინ კარტიკეიანიც მხოლოდ სამი წრით ჩამორჩა ტრიუმფატორს. „მონცა" ჩქაროსნულობის მიუხედავად, იმდენად ვიწრო ტრეკია, რომ გასწრება საკმაოდ დიდ რისკთანაა დაკავშირებული, თუმც გუშინ რამდენჯერმე გვერდის ავლა მაინც ვიხილეთ.

და კვლავ „მიშლენის" საბურავებზე ვეხსომებათ, ორი კვირის წინ თურქეთში რბოლისას, ამ ფრანგულ საბურავებიან „უილიამსის" ორ ბოლიდს უკანა საბურავები გაუსკდა. ამან დიდი აჟიოტაჟი და საქმის გამოძიებაც კი გამოიწვია. ბოლოს თითქოს საბორბლე ინციდენტი ამოწურული ჩანდა, მსგავსი აღარ გამეორდებაო, მაგრამ გუშინ საოცარი ამბავი მოხდა — რაიკონენის და მონტოიას „მაკებს" უკანა მარცხენა საბურავები აეტკეჩათ, ცოტაც და ავარია შეემთხვეოდათ. კიმიმ, როგორც ვთქვით, შეცვალა ბორბალი, ხუანს კი რაკი ეს უსიამოვნება ფინიშამდე სამიოდე წრით ადრე შეემთხვა, ბოქსებში არ შეუვლია, ბოლომდე გაძლო და მიუხედავად იმისა, რომ ალონსო საშიშად წამოეწია, მოახერხა ლიდერობის შენარჩუნება და 83-რბოლიან კარიერაში მეშვიდე დიდი პრიზი მოიპოვა.

ხოლო „ფერარი" მიმდინარე სეზონში მესამედ უქულოდ დარჩა და თუ ასე გაგრძელდა, ორივე, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში შესაძლოა მესამე პოზიციაც კი დაკარგოს.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

### იტალიის დიდი პრიზი
### 4 სექტემბერი. მონცა

დისტანცია 53 წრე — 306,720 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მონტოია (მაკლარენი) | 1:14:28,7 (247,1 კმ/სთ) |
| 2. | (2) | ალონსო (რენო) | ჩამორჩა 02,5 |
| 3. | (8) | ფიზიკელა (რენო) | 18,0 |
| 4. | (11) | რაიკონენი (მაკლარენი) | 22,8 |
| 5. | (5) | ტრული (ტოიოტა) | 33,8 |
| 6. | (9) | რ. შუმახერი (ტოიოტა) | 44,0 |
| 7. | (16) | პიცონია (უილიამსი) | 44,6 |
| 8. | (3) | ბატონი (B.A.R) | 1:03,6 |
| 9. | (15) | მასა (ზაუბერი) | 1:15,4 |
| 10. | (6) | მ. შუმახერი (ფერარი) | 1:36,0 |
| 11. | (12) | ვილნევი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12. | (7) | ბარიკელო (ფერარი) | 1 წრით |
| 13. | (13) | კლიენი (რედ ბული) | 1 წრით |
| 14. | (14) | ვებერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 15 | (10) | კულთჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 16. | (4) | სატო (B.A.R) | 1 წრით |
| 17. | (17) | მონტეირო (ჯორდანი) | 2 წრით |
| 18. | (18) | დორნბოსი (მინარდი) | 2 წრით |
| 19. | (20) | ალბერსი (მინარდი) | 2 წრით |
| 20. | (19) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 3 წრით |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მონტოია — 1:21,054 (257,3 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი — 1:21,275 (256,6 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ. ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | 10 | – | – | 10 | 8 | 10 | – | 8 | 8 | | | | | 103 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | – | 10 | – | 8 | 6 | – | 10 | 10 | 5 | | | | | 76 |
| 3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | 2 | 4 | 8 | 10 | 6 | 3 | 4 | 8 | – | – | | | | | 55 |
| 4 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | – | – | 2 | 4 | 2 | – | – | – | 10 | 8 | – | 6 | 10 | | | | | 50 |
| 5 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | 1 | – | – | 4 | – | – | 5 | 3 | 4 | | | | | 43 |
| 6 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | – | 3 | – | – | 3 | 5 | 5 | – | 5 | 6 | | | | | 41 |
| 7 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | – | 3 | – | 2 | 1 | 3 | 6 | – | 3 | | | | | 35 |
| 8 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | – | – | – | – | 1 | 6 | 6 | 8 | – | 2 | – | – | – | – | | | | | 31 |
| 9 ჰაიდფელდი უილიამსი, გერმანია | – | 6 | – | 3 | – | 8 | 8 | – | – | – | – | – | 3 | – | – | | | | | 28 |
| 10 ბატონი BAR, დ.ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 5 | 4 | 6 | 4 | 4 | 1 | | | | | 24 |

ვებერი — 24, კულთჰარდი — 21, მასა — 8, მონტეირო, ვურცი, ვილნევი — 6, კარტიკეიანი, კლიენი — 5, დე ლა როსა, ალბერსი, — 4, ფრიზახერი — 3, პიცონია — 2, ლიუცი, სატო — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ. ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | ბრაზილია | იაპონია | ჩინეთი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | 13 | – | – | 13 | 13 | 15 | – | 13 | 14 | | | | | 144 |
| 2 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | 2 | 10 | – | 8 | 16 | 8 | 10 | 16 | 15 | | | | | 136 |
| 3 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | 10 | 14 | 18 | 6 | 5 | 4 | 8 | – | – | | | | | 86 |
| 4 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | 1 | 3 | – | 6 | 1 | 3 | 11 | 3 | 7 | | | | | 78 |
| 5 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | 8 | 4 | – | – | – | – | 5 | – | 2 | | | | | 54 |

რედ ბული — 27, BAR — 25, ზაუბერი — 14, ჯორდანი — 11, მინარდი — 7 ქულა

# პირველი მხატვრული

## ფლეულს 25, გაისად უფრო მეტი

**სპორტის** დეპარტამენტის დარბაზში გაიმართა საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თასის გათამაშება. ეს ტურნირი ჩვენთან პირველად ჩატარდა. მასში ხუთი ქვეყნის, საქართველოს, ბულგარეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის 25 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში, უფროსებსა და იუნიორებში მიმდინარეობდა. ბუნებრივია, შეჯიბრება რამდენიმე დისციპლინაში გაიმართა: მრავალჭიდი, სახტუნელა, ბურთი, ბაფთა, რგოლი, გურზები.

უფროსთა შორის განსაკუთრებით იყოჩაღა ქეთი ხატიაშვილმა, რომელმაც სამ დისციპლინაში გაიმარჯვა. მის გარდა ბულგარელმა ლბომილა ვასილიევამ, ელენე გავარდაშვილმა და რუსეთის მოქალაქე თამარ ვეკუამაც გამოიჩინეს თავი.

იუნიორებიდან ნათია ნაკაიძე, ნინო ქურდაძე და კიდევ ერთი ბულგარელი გოგონა ვადისლავა ხრისტოვა დომინირებდნენ, საუკეთესო სამეულში რამდენიმე დისციპლინაში კიდევ ერთი ქართველი — მეგი ბალახაშვილიც მოხვდა.

დაბოლოს, ნატურნირევს, ფაქტობრივად, არცერთი ტანმოვარჯიშე უპრიზოდ არ დარჩენილა. ფედერაციის პრეზიდენტმა ნელი სალაძემ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ელისო ბედოშვილმა იმედი გამოთქვეს, გაისად ეს ტურნირი გაცილებით წარმომადგენლობითი იქნებაო.

**ლადო ფულუკიძე**

ჭადრაკი

# ფიშერი სპასკის 6 მილიონზე შეხვდება



ბორის სპასკისა და რობერტ ფიშერის ოდინდელი შეხვედრა

**სკანდალებით** ცნობილი დიდოსტატი ბობი ფიშერი თანახმაა, ძველ მეტოქე ბორის სპასკის კვლავ ეთამაშოს.

ორივე მოჭადრაკე ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, რომლის საპრიზო ფონდიც საკმაოდ გვარიანი, 6 მილიონი ევრო იქნება. ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გაიმართება ეს შეხვედრა, მაგრამ რამდენიმე ქალაქთან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება და ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ასე რომ, 13 წლის შემდეგ ბობი ფიშერი და ბორის სპასკი ერთმანეთის პირისპირ კვლავ მიუჯდებიან საჭადრაკო დაფას. მატჩი ეგრეთ წოდებული ფიშერული ჭადრაკით გაიმართება.

მაინც, რა არის ჭადრაკი ფიშერულად?

ეს გამოგონება მსოფლიოს მე-11 ჩემპიონ რობერტ ფიშერს ეკუთვნის, რომელიც კლასიკურისგან, უწინარეს ყოვლისა, ფიგურების თავდაპირველი განლაგებით განსხვავდება. ფიგურების განლაგება ხდება შემთხვევითი ციფრის კომპიუტერული განლაგებით. ოღონდაც, თეთრი და შავი ფიგურების წყობა სარკისებურად იმეორებს ერთმანეთს.

ეს იმისთვის ხდება, რომ სრულიად გამოირიცხოს დებიუტი, ხოლო თითოეული პარტიის დებიუტი უნიკალური გამოდის.

ამას გარდა, არსებობს კიდევ დამატებითი პირობები: კუები სხვადასხვა ფერზე უნდა იყვნენ, ხოლო მეფე — ეტლებს შორის.

სპასკისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მას ფიშერთან რევანშის საშუალება ეძლევა.

1972 წელს რეიკიავიკში მსოფლიოს ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად გამართულ მატჩში ფიშერმა სპასკი გაანადგურა — 12,5:8,5. 20 წლის შემდეგ მათ იუგოსლავიაში გამართეს მატჩ-რევანში, რის გამოც ფიშერს ამერიკის კანონთან პრობლემები გაუჩნდა. ფიშერმა ამით იუგოსლავიის წინააღმდეგ შემოღებული საერთაშორისო სანქცია დაარღვია და ჟურნალისტთა თვალწინ მან ამერიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი გაფრთხილება დახია.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ფიშერი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ძებნილად არის გამოცხადებული და როგორც პოლიტპატიმარი თავს ისლანდიას აფარებს.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც ფიშერს მხარი დაუჭირა, სწორედ სპასკი იყო.

**ლუქა გეგეჭკორი**

# კლაუდიას მეუღლე ფეხზე ჰკიდია, კრეჩმარი კი კისერზე

**პოპულარულმა** გერმანელმა ხელბურთელმა შტეფან კრეჩმარმა, ვინც 4 წლის განმავლობაში ჰყვარობდა და ცხოვრობდა სახელგანთქმულ თანამემამულე მოცურავე ფრანსისკა ვან ალმსიკთან, ახალი სიყვარული იპოვა. მისი უახლესი გულისწორი აღმოჩნდა ვინმე კლაუდია გ. სპორტსმენის ახალ რჩეულზე ცნობილი ჯერჯერობით მხოლოდ ისაა, რომ იგი ავსტრიის ქალაქ ბრეგენცში შემნახველი სალაროს ხელმძღვანელია.

ახლად შექმნილი წყვილი პაპარაცებმა გამოიჭირეს, როცა ისინი ტაილანდიდან დასვენების მერე ბრუნდებოდნენ.

„კლაუდია ჩემი ახალი მეგობარია. მას მარცხენა ფეხზე დღემდე ამოსვირინგებული აქვს ყოფილი მეუღლის პორტრეტი. ჩვენ ხანგრძლივი ურთიერთობა გვექნება, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი" — თქვა შტეფან კრეჩმარმა.

ამას გარდა, კრეჩმარმა ისიც თქვა, რომ დღემდე დროდადრო ვხვდები ვან ალმსიკსო.

„ჩვენ დროდადრო ერთმანეთსაც ვურეკავთ და ერთმანეთს ამბებს გამოვკითხავთ ხოლმე. განშორების შემდეგ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ. თან ფინჯან ყავას შევექცეოდით. ჩვენ ოთხი ბედნიერი წელიწადი გვქონდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დასრულდა. ახლა ახალი მეგობარი მყავს და თავს ბედნიერად ვგრძნობ."

კლაუდიამ და კრეჩმარმა წლეულს მარტში გაიცნეს ერთმანეთი, როცა ხელბურთელი ბრეგენცში ადგილობრივ გუნდთან სათამაშოდ ჩავიდა და მას შემდეგ შეყვარებულები ერთად არიან.

რაც შეეხება ფრანსისკას, როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, მან ახალი მიჯნური იპოვა.



ფრანსისკა ვან ალმსიკი

შეგახსენებთ, რომ მისი რჩეული მეპურე მილიონერი 45 წლის იურგენ გარდერია, რომელთანაც სარდინიაზე დაისვენა.

კრივი



ვიტალი კლიჩკო და მაიკ ტაისონი

# რკინის მაიკის აღმოჩენა

## ტაისონმა უკრაინაში არავის არაფერი მოაჭამა

**„რკინის"** მაიკ ტაისონმა, რომელმაც საკრივო კარიერა მაინც მსოფლიოს ექსჩემპიონის რანგში დაასრულა, ბევრი ამერიკელი პენსიონერივით მოგზაურობა დაიწყო. მართალია, იგი ბოლოს გაკოტრდა, მაგრამ სამოგზაურო ფული და საკუთარი იახტა მაინც დარჩა. ტაისონი სწორედ თავისი იახტით ჩავიდა ოდესაში და ყირიმში, იქიდან კი კიევს ეწვია, სადაც ვიტალი კლიჩკო ელოდა.

ამ ცნობილმა უკრაინელმა მოკრივემ, რომელიც იმავდროულად ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატია, გადაწყვიტა თავისი კოლეგის ცოტაოდენი განათლება და ქალაქში საექსკურსიოდ წაიყვანა. როცა ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა ტაისონი კიევში იხილეს, მისგან ინტერვიუს აღება განიზრახეს, მაგრამ მერე, როგორც თავადვე ამბობენ, გადაიფიქრეს, ემანდ, რამე არ მოგვაჭამოსო.

მართლაც, ტაისონს უკრაინაში ჰოლიფილდივით ყური ან სხვა რამ არ მოუჭამია. ჰოდა, ჩვენი კიეველი კოლეგები იმასაც აღნიშნავენ, რომ უკრაინის დედაქალაქის ჰაერმა რაღაც სასწაულებრივად იმოქმედა ტაისონზე და მას აგრესიის არავითარი ნიშანწყალი არ გამოუვლენიაო. მეტიც, ტაისონი თავად მივიდა კალმოსან ძმებთან და უთხრა, ეს რა მაგარი რამე ყოფილა კიევიო.

„ვერც კი წარმომედგინა, თუ აქ ასე კარგი იქნებოდა — ამბობს ტაისონი — ამერიკელებმა ხომ მართლაც არაფერი იციან უკრაინაზე და მის მცხოვრებლებზე. აქაური მოქალაქენი განსაკუთრებულნი არიან — ემოციურები და ძალიან გულწრფელები. ეს ჩემთვის ძალზე დიდი და უჩვეულო აღმოჩენაა, რომელიც კი მე ცხოვრებაში გამიკეთებია".

ამის მერე ჟურნალისტებმა ისიც თავისთვის იკითხეს, ნეტავ რას იტყვის მაიკი მოსკოვზე და მოსკოველებზეო.

მაიკ ტაისონი მოსკოვში ალბათ NEMIROFF თავის გუნდელებსა და მილიონერ ჯეფრი გრინის თანხლებით აპირებს ჩასვლას. ამ ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი კიევში დაწყებული საუბრის გაგრძელება NEMIROFF-ის კომპანიასთან შესაძლო თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე.

მოგეხსენებათ, ეს კომპანია უკვე ექვსი წელიწადია, რაც დსთ-ის ტერიტორიაზე საკრივო ღონისძიებათა და პროფესიული კრივის ტრანსლაციათა მთავარი სპონსორია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ერიკ მორალესი დამძიმებას აპირებს

**სამ** წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონი მოკრივე ერიკ მორალესი ახლა 10 სექტემბერს დანიშნული ზაქირ რახიმის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება. ბრძოლის შემდეგ მორალესი შემდგომ წონით კატეგორიაში გადაბარგებას აპირებს.

ფეხბურთი

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. სამხრეთ ამერიკა**

XVI ტური

ბრაზილია 5:0 ჩილე

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. აფრიკა**

IV ჯგუფი. IX ტური

ალჟირი 2:5 ნიგერია

**ესპანეთი**

სეგუნდადივიზიონი. II ტური

პოლი ეხიდო 2:1 ლეიდა
ალმერია 3:0 ხერესი
მალაგა B 0:1 სიუდადი
ხიმნასტიკი 0:4 სპორტინგი
მურსია 1:0 ეიბარი
ელჩე 1:3 ლორკა
რეალი B 3:0 ჰერკულესი
ალბასეტე 2:3 ვალიადოლიდი

**ინგლისი**

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
საუთენდი 2:1 ოლდემი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
მაკსფილდი 2:2 ბოსტონი

# შტეფი, ჯაზი და ანდრე

*დრო მიდის და, დიადი შტეფი გრაფიც ბერდება. მაგრამ არ ბერდება მისი მოუსვენარი ქმარი, რომელიც ნიუიორკულ კორტებზე დარბის და US OPEN-ის მოგებას ლამობს. ცხადია, ანდრე აგასიზე გამბობთ, რომელსაც შტეფისთან ერთად ქალიშვილი ჯაზიც ქომაგობს.*



AFP ნიუ იორკიდან




AFP ვოლგოგრადიდან

# ქალი-ამფიბია

*რუს ნატალია მოლჩანოვას დიდის სიამაყით მოუმარჯვებია ბარათი, რომელიც გვაუწყებს, რომ მისი მფლობელი 86 მეტრზე ჩასულა ვილეფრანსის წყლებში და ამით ქალ მოყვინთავეთა მსოფლიო ჩემპიონატი მოუგია.*




AFP კაისუდან



# ქალთა და კაცთა რვეულები

იაპონიაში, გიფუს პრეფექტურის ქალაქ კაისუში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში, რომელთა მომგები გუნდები ნაირგვარად გამოხატავენ აღფრთოვანებას. კოქს მაკელენი ამერიკის ეკიპაჟის წევრია, რომელიც მისმა გახარებულმა თანაგუნდელებმა აიღეს და წყალში გადააგდეს.

აქეთ კი გამარჯვებულ ავსტრალიელ ქალთა მესაჭიანი რვიანის ეკიპაჟია . ესენი ჩვეულებრივ ხარობენ — ეროვნული დროშა და ღიმილი...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულეყიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მელაკვილიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვიჩალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისაბიშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge